გაეროს განვითარების პროგრამა

ქვეყანა: საქართველო

პროექტის დოკუმენტი

პროექტის დასახელება: ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება მის აღსასრულებლად.

გაეროს 2011-2015 წწ. გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის (UNDAF), მე-4 საბოლოო შედეგი: მე-3 თემატური სფერო:კატასტროფების განმაპირობებელი რისკ-ფაქტორები შემცირებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად მართვის შედეგად.

გაეროს განვითარების პროგრამის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმის ძირითადი შედეგი: ქვეყნებში განვითარებულია და გამოიყენება საბაზრო მექანიზმები გარემოს დაცვის მენეჯმენტის მხარდაჭერის მიზნით.

გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიული გეგმის მეორადი შედეგი: ადგილობრივი შესაძლებლობები გაძლიერებულია გარემოს დაცვასა და ენერგიასთან დაკავშირებული საკითხების ეროვნული განვითარების გეგმების და განხორციელების სისტემების ჩარჩოებში მოსაქცევად.

2011-2015 წწ. საპროგრამო დოკუმენტის შუალედური შედეგები: 3.2.1. საცდელ უბნებზე დაინერგა ქიმიურ ნივთიერებათა, ნიადაგის, წყლისა და ბიოლოგიური რესურსების მართვის გონივრული პრაქტიკა და მექანიზმები, რომლებიც განზოგადებულია ქვეყნის შიგნით ან/და ტრანსსასაზღვრო დონეზე გამოსაყენებლად. 3.2.2. განმტკიცებულია სისტემის, უწყებებისა და თანამშრომელთა შესაძლებლობები გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სახელმწიფო გარემოსდაცვითი ვალდებულებებისა და კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების, ნიადაგის დეგრადაციის და ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსასრულებლად.

აღმასრულებელი უწყება/განმახორციელებელი პარტნიორი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მოკლედ პროექტის შესახებ

პროექტის მიზანია „ვერცხლისწყლის პირველადი შეფასება, რაც საქართველოს მთავრობას შესაძლებლობას მისცემს, დაადგინოს სახელმწიფოს მოთხოვნები და საჭიროებანი „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციისთვის და ქვეყანაში შექმნას საფუძველი იმისა, რომ დაიწყოს მისი აღსრულებისათვის საჭირო სამუშაოები“.

პროექტის მიზნის მიღწევის ინდიკატორად ორი ძირითადი კომპონენტი გამოიყენება: 1. „მინამატას კონვენციის“ რატიფიცირებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესის სწორად წარმართვა - უზრუნველყოს ისეთ წინაპირობები, როგორიცაა გადაწყვეტილების მიმღები ქმედითი სახელმწიფო სტრუქტურა, პოლიტიკისა და სამართლებრივი ნორმების შეფასება, უწყებრივი და კომპეტენციის საჭიროებათა დადგენა კონვენციის აღსასრულებლად და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გარემოსა და ჯანმრთელობაზე ვერცხლისწყლის ზემოქმედების შესახებ; 2. ვერცხლისწყლის მარაგების შესახებ ეროვნული ანგარიშისა და შეფასების პირველადი ანგარიშის შექმნა - განამტკიცებს სახელმწიფოს უნარს ვერცხლისწყლის ინვენტარიზაციისთვის და ქვეყანაში არსებული ვერცხლისწყლის შესახებ ანგარიშის შესაქმნელად კონვენციის რატიფიკაციისა და აღსრულების მიზნით.

პროექტს განახორციელებს სახელმწიფო, კერძოდ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (პროექტის განმახორციელებელი უწყება და ადგილობრივი პარტნიორი). პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეული იქნება სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური. პროექტის ხანგრძლივობაა 18 თვე (2015-2017); გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF)პროექტს 200 000 აშშ დოლარით დააფინანსებს.

პროგრამის ვადა:	2015-2017 წწ.
პროგრამის კომპონენტი:	ენერგეტიკა და გარემო მდგრადი განვითარებისთვის; კატასტროფების რისკის შემცირება
Atlas-ის გრანტის ნომერი:	00082890
პროექტის ნომერი:	00091591
PIMS #	5405
პროექტის დაწყების თარიღი:	2015 წ.
პროექტის დასრულების თარიღი	2017 წ.
პროექტის მართვის წესი	სახელმწიფო (NIM)
PAC შეხვედრის თარიღი:	დასადგენია

მთლიანი ბიუჯეტი:	200 000 აშშ დოლარი
გამოყოფილი თანხა:	
• GEF	200 000 აშშ დოლარი

ეთანხმება (მთავრობა): *საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო*

მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი

სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

ეთანხმება (გაეროს განვითარების პროგრამა):

მუდმივი წარმომადგენელი ნილს სკოტი

სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

სარჩევი

I. სიტუაციის ანალიზი 5
1.1 კონტექსტი და გლობალური მნიშვნელობა 5
1.2 სამართლებრივი გარემო და გამოცდილება 7
1.3.პროექტის მონაწილეები 7
II. სტრატეგია 8
2.1პროექტის მიზანი, ამოცანა, საბოლოო და შუალედური შედეგები, სამუშაოები 8
2.2 ხარჯების ეფექტიანობა და მდგრადობა 12
2.3რისკები და ვარაუდები 14
III. პროექტის შედეგები: 15
მთლიანი ბიუჯეტი და სამუშაო გეგმა 18
IV. პროექტის მართვა 25
4.1 ზოგადი ვალდებულებანი 25
V. მონიტორინგი და შეფასება 28
5.1 მონიტორინგის სისტემა და შეფასება 28
5.2 სწავლება და ცოდნის გაზიარება 32
5.3 კომუნიკაცია და ვიზუალურ მასალებთან დაკავშირებული მოთხოვნები 32
VI. სამართლებრივი მხარე 33
VII. დანართები 34
I დანართი: გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიული გეგმა: ძირითადი თემატური სფეროები, საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, ერთიანი პირობითი შედეგები 34
II დანართი: გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიული გეგმა: პროექტის ძირითადი პერსონალის სამუშაოს აღწერილობა 39
პროექტის მენეჯერი 39
პროექტის ადმინისტრაციული ასისტენტი 41

I. სიტუაციის ანალიზი

1.1 კონტექსტი და გლობალური მნიშვნელობა

ვერცხლისწყალი ქიმიური ელემენტია, რომელიც არსებობს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ფორმით. არის ნეიროტოქსინი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის მხედველობაზე, სმენაზე, სიარულისა თუ მეტყველების უნარზეაზე (EPA, 1997). ვერცხლისწყალი ოთხი სხვადასხვა ფორმით გვხვდება:

- ლითონისებრი ვერცხლისწყალი მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო სითხეა, რომელიც ჰაერში გაფრქვევისა და შესუნთქვის შემთხვევაში მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.
- მეთილვერცხლისწყალი ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს ზოგიერთი მლაშე და მტკნარი წყლის თევზის საკვებად მოხმარების შედეგად, განსაკუთრებით თუ ეს დიდი, კვებითი ჯაჭვის ზედა რგოლში მყოფი თევზია, მაგ: ზვიგენი, ხმალთევზა, დიდპირა ქორჭილა ან შავი ქარიყლაპია.
- არაორგანული ვერცხლისწყლის ნაერთი, რომელსაც შეიძლება შეიცავდეს აკუმულატორები, დაპატენტებული წამლები, საცხები, ცხვირის აეროზოლები და ზოგიერთი მცენარეული წამალი. ეს ნაერთები შეიძლება მავნებელი იყოს შესუნთქვისა და ჩაყლაპვის შემთხვევაში.
- ფენილვერცხლისწყალს შეიცავს1991 წლამდე წარმოებული ლატექსის საღებავები, ფასადის საღებავები ან ზეთის საფუძველზე წარმოებული საღებავები, საგოზავები, სანიტარიულ-ჰიგიენური და თვალის კოსმეტიკური საშუალებები. მან ორგანიზმში შეიძლება შეაღწიოს კანიდან ან შესუნთქვის ან ჩაყლაპვის შემთხვევაში.

ვერცხლისწყალი შეიძლება გამოიყოს ნახშირის საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებისა და ინსინერატორების მიერ, ასევე ვულკანების ამოფრქვევისას და ტყის ხანძრების დროს. ვერცხლისწყალს შეიძლება შეიცავდეს ისეთი ჩვეულებრივი ნივთები, როგორიცაა:

- დღის განათების, ლითონჰალოგენური, ნატრიუმის მაღალი წნევის, ვერცხლისწყლისა და ნეონის ნათურები (საფრთხეს ქმნის არა სახმარად ვარგისი, არამედ უკვე გამოუსადეგარი და გადაყრილი ნათურები).
- ვერცხლისწყლის გადამრთველები და რელეები, რომლებიც პორტატულ მაცივრებსა და სადრენაჟე ტუმბოებში გამოიყენება.

- თერმოსტატის ზონდები, რომლებიც გაზზე მომუშავე და სასიგნალო ნათურის მქონე მოწყობილობებში გამოიყენება, როგორიცაა ქურები, ღუმელები, სარეცხის საშრობები, წყლის გამაცხელებლები და ოთახის გამათბობლები. ეს ზონდები ასევე შეიძლება იყოს ცეცხლის ალის სენსორები ან გაზის ჩამკეტი სარქველები.
- თერმომეტრები: ვერცხლისწყალი გამოიყენება როგორც სიცხის ჩვეულებრივ საზომებში, ისე დიდ ლაბორატორიულ თერმომეტრებში. მას შეიძლება შეიცავდეს ჰაერისა და წყლის ტემპერატურის საზომები. საშიშია გატეხილი თერმომეტი, რადგან დაღვრილი ვერცხლისწყლის შეგროვება რთულია. არსებობს ალტერნატივაც - სპირტის შემცველი ან ციფრული თერმომეტრები. ისინი გაცილებით უსაფრთხოა და უფრო დიდ ხანს ძლებს, , რადგან არ ტყდება.
- თერმოსტატები: ვერცხლისწყლის გამომრთველები, რომლებიც თითქმის არ საჭიროებს მოვლა-შენახვას და კვების წყაროს, ტემპერატურის კონტროლის სანდო, ზუსტი და ხელსაყრელი საშუალებებია. ვერცხლისწყლის თერმოსტატებისგან განსხვავებით, ელექტროთერმოსტატები შეიძლება გარკვეული თერმოსტატების გასაკონტროლებლად დაპროგრამდეს, რაც საწვავის დაზოგვის ხარჯზე ეკონომიურად და ეკოლოგიურად საკმაოდ მომგებიანია.
- საზომები: ვერცხლისწყალს შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა დანადგარში არსებული ბარომეტრები, მანომეტრები და ვაკუუმმზომები. არსებობს მრავალი ალტერნატივა, რომელიც არ შეიცავს ვერცხლისწყალს.
- კბილის ამალგამა: კბილის ამალგამა აღმდგენი მასალაა, რომლის 50%-ს ვერცხლისწყალი და ვერცხლის სხვა მინარევები შეადგენს. პაციენტს საფრთხე ექმნება, თუ კბილის აღდგენისას შეისუნთქავს ჰაერს, რომელიც მარტივ ვერცხლისწყალს შეიცავს ან ნერწყვთან ერთად გადაყლაპავს ამალგამის ნაწილაკებს (ჯანსაღი გარემოსა და შესაბამისი პროგრამების საკოორდინაციო კომიტეტის რისკის შეფასების ქვეკომიტეტი, 1999 წ.)

<u>ზემოქმედება გარემოზე:</u> ცნობილია, რომ ვერცხლისწყალი ზიანს აყენებს თევზებს, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებს. ის აფერხებს მათ ზრდა-განვითარებასა და გამრავლებას, იწვევს გადახრებს ქცევაში და ხშირად სიკვდილსაც. (EPA, 1999). ვერცხლისწყალი ბუნებაში ხვდება საწვავისა და ნარჩენების წვის და სამრეწველო პროცესების შედეგად,ასევე - ბუნებრივი წყაროებიდან. ატმოსფეროში მისი შემცველობა საკმაოდ მცირეა. ვერცხლისწყალი ტყის ეკოსისტემის სველი და მშრალი პროცესების ურთერითქმედების შედეგად ილექება და შემდეგ მაღალტოქსიკური ფორმით წყლის ეკოსისტემაში გროვდება. ეს ვნებს წყლის ორგანიზმებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. საკვებიდან ადამიანის ორგანიზმის ვერცხლისწყლით დაბინძურებას ყველაზე ხშირად იწვევს ვერცხლისწყლით დაბინძურებული წყლის ორგანიზმების ან მცენარეების (მაგ: ბრინჯი) საკვებად გამოყენება (ExtoxNet, 1999 წ.).

<u>ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე:</u> ვერცხლისწყალი თითქმის მთლიანად შეიწოვება სისხლში და აღწევს ყველანაირ ქსოვილამდე, მათ შორის ტვინამდე; ის ასევე დაუბრკოლებლად გადის პლაცენტას და აღწევს ჩანასახამდე“ (EPA, 1999 წ.). ვერცხლისწყლით მოწამვლის პირველი ნიშნებია დაბუჟება და ჟრუანტელი ტუჩებსა და თითებში - ეს არის პარესთეზია. „შემდგომმა ინტოქსიკაციამ შეიძლება გამოიწვიოს ბორძიკით სიარული და გაურკვეველი ლაპარაკი, მხედველობის არეალის შეზღუდვა და სმენის დაქვეითება; უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს კანკალი და კრუნჩხვა, რასაც მოსდევს კომა და სიკვდილი“ (ლუიზიანას შტატის ჯანსაღი გარემოს სამსახური, 1997 წ.). „ვერცხლისწყლით მოწამვლის სიმპტომებია კანკალი,

მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა (ატაქსია), პიროვნების გაორება, მეხსიერების დაკარგვა, უძილობა, დაქანცულობა, დეპრესია, თავის ტკივილი, გაღიზიანება, რეაქციის შენელება, წონის დაკარგვა, უმადობა, ფსიქოლოგიური დარღვევები და გინგივიტი“ . ეს სიმპტომები აღენიშნება მათ, ვინც ხანგრძლივად მუშაობს გარემოში, სადაც ვერცხლისწყლის კონცენტრაცია ჰაერში აღემატება 50 მილიგრამს კუბურ მეტრზე და ვის შარდშიც ვერცხლისწყლის შემცველობა აჭარბებს 0,1 მილიგრამს ლიტრზე“ (ჯანსაღი გარემოსა და შესაბამისი პროგრამების საკოორდინაციო კომიტეტის რისკის შეფასების ქვეკომიტეტი; 1999 წ.).

1.2 სამართლებრივი გარემო და გამოცდილება

საქართველომ „მინამატას კონვენციას“ 2013 წ. 10 ოქტომბერს მოაწერა ხელი. კონვენციის მოსამზადებლად ქვეყანამ მონაწილეობა მიიღო მთავრობათაშორისი კომიტეტისა და რეგიონულ შეხვედრებში, ხოლო ხელმოწერის ცერემონიაზე მინამატაში მაღალი რანგის სამთავრობო დელეგაცია წარგზავნა. ამჟამად საქართველო კონვენციის რატიფიკაციისთვის ემზადება. გარემოს დაცვის 2011-2015 წწ. ეროვნული სამოქმედო გეგმის (გეგმა-2) თანახმად, გამოვლინდა მაღაროები, რომლებიც შესაძლოა ვერცხლისწყლით დაბინძურების წყაროები იყოს. გეგმა-2-ით გათვალისწინებულია მიტოვებული მაღაროების გაწმენდა, მოქმედი და პოტენციური უბნების გონივრული ექსპლუატაციის პრაქტიკის დანერგვა. გეგმა-2 ასევე ითვალისწინებს სახიფათო ნარჩენების (მათ შორის, სამედიცინო ნარჩენების) მართვის გაუმჯობესებას და გარემოს დაბინძურების შემცირებას.

გეგმა-2 ასევე ითვალისწინებს არსებული სამართლებრივი ბაზის შეცვლას, კერძოდ, მინერალური რესურსების შესახებ კანონის დახვეწასა და წიაღისეულის მოპოვების შესახებ ახალი კანონის მიღებას. მოსალოდნელია, რომ ხარისხის მართვის, რისკის შეფასებისა და კატასტროფებისთვის მზადყოფნის სისტემების გაუმჯობესებით შემცირდება იმ სამრეწველო ავარიების რიცხვი, რომლებიც ხანძრის შედეგად ვერცხლისწყლის გამოთავისუფლების პოტენციურ წყაროებად ითვლება.

საქართველო მხარს უჭერს ქიმიურ ნივთიერებათა მართვის საერთაშორისო სტრატეგიული მიდგომის (SAICM) მოთხოვნების განხორციელებას. ამ დოკუმენტის დაჩქარებული პროგრამის სატრასტო ფონდის (QSP TF) ხელშეწყობითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრენინგებისა და კვლევების ინსტიტუტის (UNITAR) ტექნიკური დახმარებით ქვეყანაში მომზადდა ეროვნული ანგარიში ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ და SAICM-ის ანგარიში შესაძლებლობათა შეფასების შესახებ. მიმდინარეობს უწყებათა შესაძლებლობების შეფასება მავნე ნარჩენების გარემოში მოხვედრის დაგავრცელების აღრიცხვის დასანერგად.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს ქიმიურ ნივთიერებათა მართვის საკმაო გამოცდილება და საფუძველი, პირველადი ინფორმაცია ვერცხლისწყლის შესახებ მაინც მწირია.

1.3.პროექტის მონაწილეები

პროექტის მთავარი მონაწილე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროა, რომელიც, ამავდროულად, პროექტის მთავარი განმახორციელებელი, აღმასრულებელი და მაკოორდინირებელი ერთეულია.

პროექტის მონაწილე ძირითადი სამთავრობო უწყებები არიან:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებების მართვის სამსახური;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არის სამთავრობო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ სტრატეგიის, კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებაზე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამსახურებისა და გარემოს დაცვის ხარისხობრივი სტანდარტების შექმნასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო თავის დაქვემდებარებულ უწყებასთან, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურთან ერთად აკონტროლებს ბაზარზე შეზღუდულად დაშვებულ მასალებს. ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შემოსავლების სამსახური კი აკონტროლებს ამ მასალების იმპორტს, ექსპორტსა და ტრანზიტს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი ამ პროექტში იქნება მოსახლეობის, მათ შორის, საფრთხის ქვეშ მყოფი ჯგუფების ინფორმირება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ვერცხლისწყლის მავნე ზემოქმედების შესახებ. მოსახლეობა, რომელიც ვერცხლისწყლით მოსარგებლე სამრეწველო უბნების ან ვერცხლისწყლის წყაროების ახლოს ცხოვრობს, გახდება საინფორმაციო კამპანიის მიზნობრივი ჯგუფი, რათა დროულად შეიტყონ ჯანმრთელობისა და გარემოს მიმართ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციები იქნება დამაკავშირებელი რგოლი მოსახლეობასა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, როგორც პროექტის განმახორციელებელ უწყებას შორის. შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შევლენ პროექტის აღმასრულებელ საბჭოში (PEB).

ზემოხსენებულ სექტორებში ჩართული ძირითადი სამრეწველო სფეროების წარმომადგენლები პროექტში ჩაერთვებიან ზოგადად საინფორმაციო ხასიათის სემინარებში და კონკრეტულად ვერცხლისწყლის ინვენტარიზაციის პროცესში.

საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფებისა და შესაძლებლობათა განმტკიცების საჭიროებების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და დაუცველი ჯგუფების ინტერესები.

II. სტრატეგია

2.1 პროექტის მიზანი, ამოცანა, საბოლოო და შუალედური შედეგები, სამუშაოები

პროექტის ამოცანაა ვერცხლისწყლის პირველადი შეფასება, რაც საქართველოს მთავრობას საშუალებას მისცემს, განსაზღვროს „მინამატას კონვენციის“ რატიფიცირებისათვის არსებული ეროვნული საჭიროებები და მოთხოვნები და შექმნას მყარი საფუძველი მომავალი სამუშაოებისთვის კონვენციის აღსასრულებლად. ზევით აღნიშნული განხორციელდება გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) მითითებებით[1] განსაზღვრული 4 (ოთხი) კომპონენტის შესრულებით:

I. კონვენციის აღსრულებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შეფასება;

II. ვერცხლისწყლის წყაროების პირველადი შეფასება გარკვეული კატეგორიების მიხედვით;

III. ვერცხლისწყლის გადინება-გავრცელების წყაროების იდენტიფიცირება;

IV. უწყებათა მიერ კონვენციის აღსრულების შესაძლებლობების შეფასება.

კონვენციის აღსრულებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და მეთოდიკის შეფასების ფარგლებში მოხდება ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ არსებული კანონმდებლობის ანალიზი და გამოვლინდება ვერცხლისწყლის საკითხებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები. გარდა ამისა, განიხილება ვერცხლისწყლის საკითხებზე მომუშავე ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმის შექმნის თემაც.

ვერცხლისწყლის წყაროების პირველადი აღწერა ქვეყანას საშუალებას მისცემს განსაზღვროს, რა მოცულობით გამოიყენება ვერცხლისწყალი იმ დარგებში, რომლებიც უკვე იდენტიფიცირებულია გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) მეთოდებით, ვერცხლისწყლის გარემოში მოხვედრის გამოვლენისა და რაოდენობის განსაზღვრის მიზნით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში არსებობს შემდეგი შესაძლო წყაროები: 1. ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურები; 2. ცემენტის წარმოება; 3. წიაღისეულის მოპოვება და მეტალურგიის სხვა სფეროები; 4. ვერცხლისწყლის მოპოვება; 5. ოქროსა და ვერცხლის მცირემასშტაბიანი მოპოვება; 6. ქლორ-ტუტოვანი წარმოება; 7. დღის განათების ნათურები, მანომეტრები და თერმომეტრები; 8. ვერცხლისწყლის შემცველი ნაწარმის დამზადება; 9. ნარჩენების (მათ შორის, სამედიცინო ნარჩენების) განადგურება.

პროექტის საბოლოო და შუალედური შედეგები ზემოხსენებული კომპონენტების გათვალისწინებით:

<u>I</u> <u>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი. „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით შექმნილია გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშემწყობი გარემო.</u>

<u>მოსალოდნელი შუალდეური შედეგი 1.1. შეფასდა საკანონმდებლო, მეთოდოლოგიური და მარეგულირებელი დოკუმენტები „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციისთვის საჭირო მოთხოვნების განსასაზღვრად.</u>

1http://www.thegef.org/gef/node/9983

ამ კომპონენტის ფარგლებში შეიქმნება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშემწყობი გარემო „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით. სამუშაო ძირითადად წარიმართება „ ღონისძიებების წარმართვის შესახებ საწყისი მითითებების“ შესაბამისად, რომლებიც გარემოს დაცვის გლობალური ფონდის საბჭომ 2013 წ. ნოემბერში მიიღო; ამ კომპონენტების ფარგლებში შემოწმდება, რამდენად იძლევა არსებული სტრუქტურები, უწყებები და კანონმდებლობა კონვენციის აღსრულების საშუალებას.

უფრო კონრეტულად:

- შეისწავლება კანონმდებლობა ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ და მთავარი შესაბამისი უწყების - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის - შესაძლებლობები.
- გადაიხედება არსებული კანონმდებლობა, გამოვლინდება „მინამატას კონვენციის“ აღსრულების დამაბრკოლებელი ნაკლოვანებები და მომზადდება პირველადი ტექნიკური წინადადებები ცვლილებებისათვის.
- შეისწავლება იმ უწყებების როლი, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლენილი ვერცხლისწყლის გამოყენებისა და გადინება-გავრცელების შემთხვევებთან. ესენია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ენერგეტიკის და სხვა სამინისტროები.
- შეისწავლება ამ უწყებათა შესაძლებლობები და გამოვლინდება ვერცხლისწყლის მართვის საკითხებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

შესაძლებლობათა და ნაკლოვანებათა შესწავლისას შეიქმნება ვერცხლისწყლის საკითხებზე მომუშავე ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმი, რომელიც იმსჯელებს მეთოდოლოგიაზე და განსაზღვრავს ქვეყნის სტრატეგიასა და კონკრეტულ ნაბიჯებს კონვენციის რატიფიცირებისათვის. ეს იქნება სხვა საერთაშორისო კონვენციებისთვის (ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული) შექმნილი ერთეულების (მაგ.,- POPs) მსგავსი სტრუქტურა და დაეფუძნება არსებულ პრაქტიკასა და შესაძლებლობებს.

<u>შუალედური შედეგი 1.2. განისაზღვრა კონვენციის აღსრულების უნართან დაკავშირებული საჭიროებები</u>

1.1 შუალედური შედეგის თანახმად, ძირეულად შეფასდება ყველა შესაბამისი სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყების უნარი და გამოვლინდება ნაკლოვანებები, შესაძლებლობებთან დაკავშირებული საჭიროებანი და დამაბრკოლებელი სამართლებრივი თუ ფუნქციური ფაქტორები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთი მთავარი უწყების შესაძლებლობების შესწავლას, როგორიცაა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სამსახური და შესაბამისად გამოვლინდება ნაკლოვანებები.

მომზადდება შეფასების შედეგების ანგარიში, სადაც გარკვევით ჩამოყალიბდება მიღებული მონაცემები და რეკომენდაციები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და შესაძლებლობათა დასახვეწად, რაც ხელისუფლებას კონვენციის რატიფიკაციისა და აღსრულების საშუალებას მისცემს.

გამოვლენილი სამართლებრივი თუ ფუნქციური ნაკლოვანებები, რომლებიც კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აბრკოლებს, პროექტის მონაწილე სამინისტროებისა და სხვა მონაწილეთა შეხვედრებზეზე განიხილება. ამ შეხვედრების შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნება მე-2 კომპონენტით გათვალისწინებული სამუშაო გეგმა შსს ანგარიშის შესაქმნელად.

<u>შუალედური შედეგი 1.3. ჩატარდა საინფორმაციო კამპანია ვერცხლისწყლის მავნე ზემოქმედების შესახებ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე</u>

საინფორმაციო კამპანია ვერცხლისწყლით გამოწვეული საფრთხეების და ვერცხლისწყლით გამოწვეული პრობლემების შესახებ შესახებ ჩატარდება როგორც გადაწყვეტილების მიმღებთა და საფრთხის ქვეშ მყოფი ჯგუფებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის. მიმდინარე კონსულტაციების ფარგლებში ეს იქნება დამატებითი აქტივობა. კონკრეტული ღონისძიებები განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად სრულად მიიღწევა 1.1 და 1.2 შუალედური შედეგები და გამოყენებული იქნება ეფექტიანი/ეფექტური მეთოდები შესაბამისი სენსიტიური სამუშაოს წარმართვისათვის.

II მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: შეიქმნა ეროვნული ანგარიში ვერცხლისწყლის შესახებ და ვერცხლისწყლის წყაროების პირველადი შეფასების ანგარიში

ეს კომპონენტი ვერცხლისწყლის წყაროების აღრიცხვას ითვალისწინებს. ინვენტარიზაცია ჩატარდება იმ სფეროებში, რომლებიც, გარემოში მოხვედრილი ვერცხლისწყლის გამოვლენისა და მისი მოცულობის დადგენის მიზნით, წინასწარ გამოვლინდა UNEP-ის მეთოდებით. კერძოდ, განისაზღვრება მრეწველობის დარგები, წარმოების ადგილმდებარეობა და გამოყენებული ვერცხლისწყლის მოცულობა.

<u>შუალედური შედეგი 2.1. ამაღლდა ქვეყანაში არსებული სამსახურების კვალიფიკაცია ვერცხლისწყლის წყაროების აღსარიცხად</u>

ვერცხლისწყლის წყაროების აღრიცხვის შესაძლებლობათა განსამტკიცებლად შეისწავლება, რამდენად შესწევთ სამთავრობო უწყებებს ხელმისაწვდომ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების, ასევე ისეთი ანგარიშების შექმნის უნარი, რომლებიც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს კონვენციის აღსასრულებლად. ამ კვლევის შედეგად გამოვლინდება უწყების სუსტი მხარეები და მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავდება წინადადებები და პრიორიტეტული ღონისძიებები შესაძლებლობების განვითარებისთვის. ეს ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის გზები განიხილება და შეთანხმდება პროექტის მთავარ მონაწილეთა შორის. იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების და მონაცემების გათვალისწინებით შეიქმნება გადამზადების სათანადო პროგრამა და ჩატარდება ტრენინგები.

<u>შუალედური შედეგი 2.2. აღრიცხულია ვერცხლისწყლის წყაროები და შემუშავებულია ეროვნული ანგარიში</u>

ვერცხლისწყლის ინვენტარიზაციის, რომლის საფუძველზე მომზადდება ვერცხლისწყლის შესახებ ეროვნული ანგარიში. აღრიცხვის დროს გამოვლინდება და შეფასდება ვერცხლისწყლით ნიადაგისა და წყლის დამაბინძურებელი წყაროები, მათ შორის, ძველი, მიტოვებული მაღაროები; ასევე

გამოვლინდება სხვა სპეციფიკური წყაროები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, თემები თუ სხვა ერთეულები, რომლებიც ზარალდებიან ან სხვაგვარად არიან დაკავშირებულნი ვერცხლისწყლის წყაროებთან ან/და ვერცხლისწყლით დაბინძურებასთან.

აღრიცხვას ჩაატარებენ ტექნიკური ექსპერტები, რომლებიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად შექმნიან სამუშაო ჯგუფს, რომელიც მოამზადებს (და დაამტკიცებს) ეროვნულ ანგარიშს ვერცხლისწყლის შესახებ. ადგილობრივი ექსპერტების სამუშაო ჯგუფში იქნება უცხოელი ტექნიკური მრჩეველიც, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს ჯგუფის მუშაობას და დაეხმარება ისეთი მეთოდოლოგიის და მიდგომების ათვისებაში, რომლებიც მონაცემთა და შემდეგ კვლევის სანდოობას უზრუნველყოფს.

<u>შუალედური შედეგები 2.3. შემუშავებულია ვერცხლისწყლის შესახებ პირველადი შეფასების ეროვნული ანგარიში</u>

ამ ანგარიშის შემუშავების მიზნით პროექტის მონაწილეთა სამუშაო ჯგუფებში განიხილება ინფორმაცია შესაძლებლობების გაძლიერების, არსებული ნაკლოვანებების და დაბრკოლებების საჭიროების შესახებ (პირველი კომპონენტი), რომელიც მიღებული იქნება მარეგულირებელი გარემოს და ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასებისას.

ექსპერტთა ჯგუფი შეიმუშავებს სამუშაო წინადადებებს იდენტიფიცირებული ნაკლოვანებებისა და ბარიერების მოგვარების შესახებ, რომლებიც ჩართული იქნება ვერცხლისწყლის პირველადი შეფასების ანგარიშში.. სამუშაო წინადადებებით გათვალისწინებული თანხებიც, რომლებიც მთავრობამ უნდა გაიღოს „მინამატას კონვენციით“ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

მას შემდეგ, რაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შექმნილი სამუშაო ჯგუფი მოამზადებს ვერცხლისწყლის შესახებ ეროვნული ანგარიშისა და ვერცხლისწყლის შეფასების შესახებ ანგარიშის სამუშაო ვერსიებს, ისინი განხილული იქნება სამინისტროების დონეზე მიღების/დამტკიცებისთვის. .

ამ სამუშაოს მოსალოდნელი შედეგების გარდა, ვერცხლისწყლის შეფასების შესახებ ანგარიშში შევა შემდეგი ინფორმაცია:

- ეროვნული ანგარიში ვერცხლისწყლის მარაგების შესახებ, მათ შორის, ვერცხლისწყლისა და მის ნაერთთა გამომყოფი მნიშვნელოვანი წყაროები და მათი აღრიცხვის შედეგები;
- კონვენციის აღსასრულებლად საჭირო, უკვე არსებული სტრუქტურები, სამსახურები და კანონები;
- კონვენციის აღსრულების დამაბრკოლებელი ფაქტორები;
- კონვენციის აღსასრულებლად საჭირო ტექნიკური და ფინანსური ფაქტორები, მათ შორის, გარემოს დაცვის გლობალური ფონდის სახსრები, სახელმწიფო და ორმხრივი წყაროები, კერძო სექტორი და სხვა.

2.2 ხარჯების ეფექტიანობა და მდგრადობა

<u>მდგრადობა</u>

სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობა: ვერცხლისწყლის მართვისა და აღრიცხვის უნარის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სოციალურ კეთილდღეობას გარემოს ხარისხის გაუმჯობესებით (გარემოში ვერცხლისწყლის მოხვედრის შემცირებით), რაც დაკავშირებული იქნება

ვერცხლისწყლის კერების გაქრობასთან.პროექტის სხვადასხვა მონაწილე მხარები - (სამთავრობო უწყებები, სახელმწიფო და კერძო კომპანიები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და არასამთავრობო ორგანიზაციები) პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩართული იქნებიან პროექტში. წარსული მემკვიდრეობისგან განთავისუფლების და გარემოს გასუფთავების შესახებ პოზიტიური ინფორმაცია პროექტის მონაწილეების მიერ მიეწოდება ფართო საზოგადოებას, რაც ხელს შუწყობს საზოგადოების მიერ მთავრობის გარემოს გასუფთავებისკენ მიმართული მცდელობების უკეთესად აღქმას.

ინსტიტუციური მდგრადობა: პროექტი დადებით გავლენას მოახდენს ქიმიური ნივთიერებების მართვაში ჩართული ინსტიტუციების მდგრადობაზე ვერცხლისწყლის ინვენტარიზაციის და მარაგების მართვის გაძლიერების გზით. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული ცოდნა და გამოცდილება შესაბამის სამსახურებს სახიფათო ნარჩენების, კერძოდ კი ვერცხლისწყლის წარმატებით მართვის საშუალებას მისცემს.

<u>პროექტის განზოგადება</u>

ამ პროექტის განზოგადების პოტენციალი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეგიონული მასშტაბით (კერძოდ კავკასიის რეგიონი და ასევე სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები), სადაც ახლა ინერგება სახიფათო ნარჩენების განადგურების პრაქტიკა არამედ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ვადაგასული პესტიციდების მარაგები უკვე გამოვლენილია და რომლებიც უნდა განადგურდეს გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე. ამგვარად, ამ პროექტის განორციელების შედეგად მიღებული ცოდნა და გამოცდილება შეიძლება სასარგებლო იქნება ბევრი ქვეყნისთვის.

<u>ხარჯების ეფექტიანობა</u>

პროექტი ეკონომიურად ეფექტიანი იქნება, ვინაიდან ის მოქცეულია საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მიმდინარე ქიმიური ნივთიერებების პროექტების ერთიანი მართვის სისტემაში. მასში აქტიურად ჩაებმებიან ადგილობრივი ექსპერტები, რომლებიც მოიპოვებენ ზუსტ ინფორმაციას და მოამზადებენ მყარ საფუძველს პროექტის განსახორციელებლად; უცხოელი ტექნიკური ექსპერტი კი ჩაერთვება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი სპეციალისტების ცოდნა და გამოცდილება არ იქნება საკმარისი და უზრუნველყოფს მოკლევადიანი და სპეციფიკური დახმარების გაწევას. ფართო საზოგადოებისა და სპეციფიკური ადგილობრივი ჯგუფებისთვის ინფორმაციის მიწოდება უფრო ეფექტური იქნება, თუ მას ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ეკოკლუბები გაავრცელებენ.

2.3რისკები და ვარაუდები

რისკი	**დონე**	**რისკის შემცირების გზები**
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პოლიტიკისა და შტატის შეცვლა, გამოწვეული პოლიტიკური არასტაბილურობით	დაბალი	ძირითადი მიზნების მისაღწევად პროექტი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მჭიდრო და საქმიან კავშირს. გარდა ამისა, პროექტის სამეთვალყურეო ერთულებში გაერთიანდებიან მთავარი დარგობრივი სამინისტროები, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მქონე ტექნიკური პერსონალის დანიშვნას.
ინვენტარიზაციისათვის ძველი, ისტორიული ვერცხლისწყლით დამაბინძურებელი წყაროების იდენტიფიცირება არ არის საკმარისი სათანადო მონაცემების (მიტოვებული მაღაროების შესახებ) არარსებობის გამო	საშუალო	რისკი საშუალო დონისაა, რადგან ინფორმაცია ძველი წყაროების შესახებ ეფუძნება ექსპერტთა მსჯელობას და არა ფაქტობრივ მონაცემებს.
ქვეყანაში არ არიან სათანადო ტექნიკური ცოდნის მქონე სპეციალისტები, განსკუთრებით ისეთი სპეციალისტები, რომლებიც ვერცხლისწყლის წყაროების აღრიცხვას შეძლებენ	დაბალი	პროექტში გათვალისწინებულია ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება უცხოელი სპეციალისტის დახმარებით (სწავლება სამუშაოდან მოწყვეტის გარეშე) ვერცხლისწყლის წყაროების ინვენტარიზაციისთვის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.
რისკის საერთო დონე	**საშუალო**	

III. პროექტის შედეგები:

ეს პროექტი ხელს შეუწყობს საპროგრამო დოკუმენტის შემდეგი საბოლოო შედეგის მიღწევას: **მოსალოდნელი შედეგი: 3.2.** კატასტროფების განმაპირობებელი ფაქტორები შემცირებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად მართვის შედეგად. **შუალედური შედეგები:** 3.2.1. საცდელ უბნებზე დაინერგა ქიმიურ ნივთერებათა, ნიადაგის, წყლისა და ბიოლოგიური რესურსების მართვის გონივრული პრაქტიკა და მექანიზმები, რომლებიც განზოგადებულია ქვეყნის შიგნით და მოსაზღვრე ქვეყნებში გამოსაყენებლად. 3.2.2. განმტკიცებულია სისტემის, უწყებებისა და თანამშრომელთა შესაძლებლობები გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ვალდებულებებისა და კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების, ნიადაგის დეგრადაციისა და ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსასრულებლად.
გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროს მთავარი შესაბამისი შედეგი: გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სფეროს ძირითად მიმართულებად ქცევა; 1. ადგილობრივ უწყებათა კვალიფიკაციის ამაღლება გარემოს მართვის კუთხით და ეკოლოგიური და ენერგეტიკული სამსახურების გაფართოება, განსაკუთრებით, ღარიბი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებიდან გამომდინარე.
გარემოს დაცვის გლობალური ფონდის შესაბამისი სტრატეგიული ამოცანა და პროგრამა: CHEM-3:ქიმიურ ნივთიერებათა სწორი მართვა და ვერცხლისწყლის დონის შემცირება.
გარემოს დაცვის გლობალური ფონდის შესაბამისი მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: 1) ქვეყანაში არიან პრიორიტეტულ დარგებში ვერცხლისწყლის მართვაზე პასუხისმგებელი კვალიფიციური სპეციალისტები; 2) ხელშეწყობილია „ქიმიურ ნივთიერებათა მართვის საერთაშორისო სტრატეგიული მიდგომის“ (SAICM) საერთო მიზნის მიღწევა: სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ქიმიურ ნივთიერებათა იმგვარად მართვა, რომ მინიმუმამდე შემცირდეს მათი მავნე გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე.
გარემოს დაცვის გლობალური ფონდის შესაბამისი საბოლოო შედეგების მაჩვენებლები: 1) ქვეყნებში მიმდინარეობს ვერცხლისწყლის მართვისა და შემცირების საცდელი ღონისძიებები. 2) ქვეყნებში მიმდინარეობს „ქიმიურ ნივთიერებათა მართვის საერთაშორისო სტრატეგიული მიდგომით“ (SAICM) გათვალისწინებული ღონისძიებები, რომელთა შედეგად იქმნება ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო; ამ ღონისძიებათა შედეგები წარედგინება საერთაშორისო კონფერენციას ქიმიურ ნივთიერებათა მართვის შესახებ.

EA მიზნები: ვერცხლისწყლის პირველადი შეფასება საქართველოს მთავრობას საშუალებას მისცემს, განსაზღვროს „მინამატას კონვენციის“ რატიფიცირებისა და მისი აღმასრულებელი სახელმწიფო ერთეულის შესაქმნელად საჭირო მოთხოვნები.

EA ამოცანა	ინდიკატორები	საფუძველი	შედეგები პროექტის დასრულებისას	შესრულების დამადასტურებელი მიზნები	რისკები და ვარაუდები
ვერცხლისწყლის წყაროების პირველადი შეფასება საქართველოს მთავრობას საშუალებას მისცემს, განსაზღვროს „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციისა და მისი აღმასრულებელი სახელმწიფო ერთეულის შესაქმნელად საჭირო მოთხოვნები.	„მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით შექმნილია გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშემწყობი გარემო შეიქმნა ანგარიში ვერცხლისწყლის შესახებ და ვერცხლისწყლის	მინამატას კონვენციის რატიფიცირებისათვის საჭირო მოთხოვნები არ არის განსაზღვრული კანონმდებლობაში კონვენციის რატიფიცირებისათვის საჭირო შესაძლებლობები არ არის ოდენტიფიცირებული. დაბალი საზოგადოებრივი ცნობიერების დონე ვერცხლისწყლის გავლენაზე ჯანმრთელობასა და გარემოზე. ვერცხლისწყლის ინვენტარიზაციისათვის დაბალი ან არარსებული	შეფასდასაკანონმდებლო, მეთოდოლოგიური და მარეგულირებელი დოკუმენტებია „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციისთვის საჭირო მოთხოვნების განსასაზღვრად. განისაზღვრა კონვენციის აღსრულების უნართან დაკავშირებული საჭიროებები. ჩატარდა საინფორმაციო კამპანია ვერცხლისწყლის მავნე ზემოქმედების შესახებ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ამაღლდა ქვეყანაში არსებული სამსახურების კვალიფიკაცია ვერცხლისწყლის წყაროების აღსარიცხად ვერცხლისწყალი წყაროები აღირიცხა და მომზადდა ეროვნული	შეფასების ანგარიში; საინფორმაციო კამპანიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; ანგარიში ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ ანგარიში შესაძლებლობათა შეფასების შესახებ; ტრენინგის სახელმძღვანელოები; ანგარიშები ჩატარებული	პოლიტიკური არასტაბილურობით გამოწვეული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პოლიტიკისა და შტატის შეცვლა. ვერცხლისწყლით დაბინძურების ძველი წყაროების (მიტოვებული მაღაროები) იდენტიფიცირება სრულყოფილი არ არის სათანადო მონაცემთა არარსებობის გამო ქვეყანაში არ არიან სათანადო ტექნიკური ცოდნის მქონე

	წყაროების პირველადი შეფასების ანგარიში	შესაძლებლობები არასოდეს ჩატარებულა ვერცხლისწყლის ეროვნული ინვენტარიზაცია და არ არსებობს ანგარიში ვერცხლისწყლის შესახებ	ანგარიში მომზადდა ვერცხლისწყლის წყაროების შეფასების პირველადი ეროვნული ანგარიში	მეცადინეობების შესახებ; მსმენელთა სიები; ანგარიში ვერცხლისწყლის წყაროების აღრიცხვის შესახებ; ვერცხლისწყლის წყაროების შეფასების პირველადი ეროვნული ანგარიში	სპეციალისტები, განსაკუთრებით ისეთი სპეციალისტები, რომლებიც ვერცხლისწყლის წყაროების აღრიცხვას შეძლებენ

მთლიანი ბიუჯეტი და სამუშაო გეგმა

გრანტის ნომერი:	00082890		
გრანტის დასახელება:	ქვეყანა: საქართველო; პროექტის დასახელება: PIMS 5405: ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობა „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება მის აღსასრულებლად		
განყოფილება:	GEO 10		
პროექტის დასახელება:	ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობა „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება მის აღსასრულებლად.		
პროეტის საიდენტიფიცაციო ნომერი PIMS # 5405	00091591		
განმახორციელებელი პარტნიორი (აღმასრულებელი უწყება)	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო		

GEF საბოლოო შედეგები/ატლასის შესაბამისად	**პასუხისმგებელი მხარე/განმახორციელებელი**	**ფონდი**	**დონორი**	**ბიუჯეტის კოდი**	**ბიუჯეტის კოდის აღწერა**	**თანხა აშშ დოლარში**				**შენიშვნა:**
						პრველი წელი	**მეორე წელი**	**მესამე წელი**	**სულ**	
<u>I საბოლოო შედეგი:</u> შექმნილია გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშემწყობი გარემო „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით	საქართველოს მთავრობა	**62000**	**GEF**	71300	ადგილობრივი კონსულტანტი	0	10000	0	10000	1
				71300	ადგილობრივი კონსულტანტი	0	10000	5500	15500	2
				72100	საკონტრაქტო მომსახურება - ხელშეკრულება კომპანიებთან	0	19800	19800	39600	3
				71300	ადგილობრივი კონსულტანტი	0	2000	0	2000	4
				სულ: შედეგი 1		**0**	**41800**	**25300**	**67100**	
<u>II საბოლოო შედეგი:</u> შეიქმნა ეროვნული	საქართველოს მთავრობა			71200	საერთაშორისო კონსულტანტი	0	13000	6500	19500	5

ანგარიში ვერცხლისწყლის წყაროების შესახებ და ვერცხლისწყლის წყაროების პირველადი შეფასების ანგარიში		**62000**	**GEF**	72100	საკონტრაქტო მომსახურება-ხელშეკრულება კომპანიებთან	0	20000	20000	40000	6
				71300	ადგილობრივი კონსულტანტი	0	10000	5500	15500	7
				72100	საკონტრაქტო მომსახურება - ხელშეკრულება კომპანიებთან	0	20000	20000	40000	8
				სულ: შეფეგი 2		**0**	**63000**	**52000**	**115000**	
3. პროექტის მართვა	საქართველოს მთავრობა	**62000**	**GEF**	71400	საკონტრაქტო მომსახურება - ფიზიკური პირები	0	10900	5000	15900	9
				71600	მგზავრობა/ადგილობრივი სამივლინებო ხარჯები	0	650	350	1000	10
				74200	აუდიო-ვიზუალური და ბეჭდური მასალების დამზადების ხარჯები	0	550	450	1000	11
					სულ:	0	**12100**	**5800**	**17900**	
პროექტის საერთო ხარჯები						0	**116,900.00**	**83,100.00**	**200,000.00**	

ფონდების შეჯამება[2]

	2015	2016	2017	სულ

[2] შემაჯამებელი ცხრილი უნდა შეიცავდეს ყველა სახის დაფინანსებას: გარემოს დაცვის გლობალური ფონდის დაფინანსებას, თანადაფინანსებას, ნაღდი ფულით და ნატურით მიღებულ დაფინანსებას და ა.შ.

GEF	0	116,900.00	83,100.00	200,000.00

შენიშვნები:

1. ადგილობრივი მოკლევადიანი კონსულტანტი - შეისწავლის უკვე არსებულ სტრუქტურებს, ინსტიტუციებსა და საკანონმდებლო ბაზას, რომლებიც აუცილებელიაა „მინამატას კონვენციის“ იმპლემენტაციისათვის.
2. ადგილობრივი მოკლევადიანი კონსულტანტი - სრულყოფილად შეისწავლის სახელმწიფო და არასახელმწიფო ერთეულების კვალიფიკაციას, გამოავლენს ნაკლოვანებებს, განსაზღვრავს საჭიროებებს და დაადგენს სამართლებრივ თუ ფუნქციურ დამაბრკოლებელ ფაქტორებს.
3. კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვასა და ჩატარებას ვერცხლისწყლით გამოწვეული საფრთხეების შესახებ კონკრეტულ დარგებსა თუ თემებში.
4. ადგილობრივი მოკლევადიანი კონსულტანტიი - შეიმუშავებს PR სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმას ვერცხლისწყალზე და მინამატას კონვენციაზე ცნობიერების ასამაღლებლად.
5. საერთაშორისო მოკლევადიანი კონსულტანტი - შეაფასებს სამთავრობო უწყებების და ორგანიზაციების კვალიფიკაციას ვერცხლისწყლის წყაროების აღსარიცხად, გამოავლენს ნაკლოვანებებს და მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის სასწავლო პროგრამას და ჩაატარებს ტრენინგებს.
6. კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს ვერცხლისწყლის წყაროების ინვენტარიზაციას და ვერცხლისწყლის შესახებ ანგარიშის მომზადებას.
7. ადგილობრივი მოკლევადიანი კონსულტანტი - ძირეულად განიხილავს ყველა ანგარიშს, რომელიც მომზადდება მარეგულირებელი გარემოს ანალიზისა და ინვენტარიზაციის შედეგად, შეაფასებს პროექტის შედეგების ზემოქმედებას ყველა დაინტერესებულ მხარეზე და საზოგადოებაზე და ამგვარად ხელს შეუწყობს შესაძლებლობებთან დაკავშირებული საჭიროებების განსაზღვრას მინამატას კონვენციის აღსრულების მიზნით.
8. კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს ვერცხლისწყლის წყაროების შეფასების პირველადი ეროვნული ანგარიშის მომზადებას.
9. პროექტის ხელმძღვანელისა და პროექტის ის თანაშემწის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.
10. სამივლინებო ხარჯები ქვეყნის ფარგლებში (გაეროს განვითარების პროგრამის ადგილობრივი სამივლინებო ხარჯები ქვეყნის ფარგლებში, დედაქალაქის ფარგლებს გარეთ სამივლინები ხარჯი შეადგენს 122 აშშ დოლარს).
11. აუდიო-, ვიდეო- და ბეჭდური მასალების დამზადების ხარჯები.

თანამდებობები	**აშშ დოლარი კვირაში /ერთ ადამიანზე**	**სავარაუდო რაოდენობა ადამიანი / კვირა**	**შესასრულებელი დავალებები**
EA მენეჯმენტისთვის			
ადგილობრივი **(პროექტის მართვის ბიუჯეტიდან)**			
პროექტის ხელმძღვანელი	165	60	მეთვალყურეობს და კოორდინაციას უწევს პროექტის დოკუმენტით განსაზღვრული შუალედური შედეგების მიღწევის პროცესს; ახდენს პროექტის თანხების მობილიზებას ადგილობრივი პროექტების განსახორციელებლად საჭირო წესების შესაბამისად; მეთვალყურეობს და კოორდინაციას უწევს პროექტის თანამშრომლების, კონსულტანტებისა და ქვეკონტრაქტორების მუშაობას; ამზადებს და ამოწმებს პროექტის სამუშაო და ფინანსურ გეგმებს; პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ქმედითი კოორდინაციის მიზნით თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამის ოფისთან, შესაბამის სამთავრობო უწყებებსა და პროექტის პარტნიორებთან (მათ შორის დონორებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან); ადმინისტრაციულად უზრუნველყოფს ქვეკონტრაქტორთა სამუშაოებსა და მეცადინეობებს, რომლებიც პროექტითაა გათვალისწინებული; თვალყურს ადევნებს და უზრუნველყოფს, რომ გაეროს განვითარების პროგრამის, გარემოს დაცვის გლობალური ფონდის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სხვა მეთვალყურე ერთეულების მიერ მოთხოვნილი ანგარიშები დროულად იყოს წარდგენილი; პროექტის მონაწილეებს მოთხოვნისამებრ უგზავნის პროექტის ანგარიშებს და პასუხობს მათ კითხვებს; პროექტის აღმასრულებელი საბჭოს აბარებს ანგარიშებს პროექტის მიმდინარეობის შესახებ და უზრუნველყოფს მისი მითითებების შესრულებას.
პროექტის ადმინისტრაციული	100	60	აგროვებს, აღრიცხავს და ინახავს ყოველგვარ ინფორმაციას პროექტით

თანაშემწე			გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ; ხელმძღვანელობას ეხმარება პროექტის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების მომზადებასა და განხორციელებაში; მეთვალყურეობს პროექტის მიმდინარეობას, ბიუჯეტსა და ხარჯებს; პროექტის მონაწილეებს განუმარტავს ადმინისტრაციულ წესებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას; ინახავს პროექტთან დაკავშირებულ კორესპონდენციასა და მიმოწერას; ხელმძღვანელობას ეხმარება პროექტის სამუშაო გეგმების მომზადებასა და სამუშაო თუ ფინანსური პროცესების დაგეგმვაში; ხელმძღვანელობას ეხმარება შესყიდვებსა და პერსონალის დაქირავებაში; ამზადებს განაცხადებს ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციული თუ სადაზღვევო ხარჯების, ხელფასებისა და სხვა ხარჯების დასაფარად; თვალყურს ადევნებს, რომ გაეროს განვითარების პროგრამის ოფისმა საქართველოში დროულად დაფაროს ხარჯები, რომლებიც მოცემულია განაცხადებში ანაზღაურების შესახებ; იღებს, ახარისხებს, საჭიროებისამებრ ურთავს დამხმარე ინფორმაციას და ავრცელებს კორესპონდენციას; პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერისთვის ამზადებს წერილებსა და სხვა დოკუმენტებს; უზრუნველყოფს ლოჯისტიკურ დახმარებას შეხვედრების, ტრენინგებისა და სემინარებისთვის; ამზადებს საველე ვიზიტებს და მათ განრიგს, აწყობს პროექტთან დაკავშირებულ შიდა თუ გარე შეხვედრებს დააწარმოებს ამ შეხვედრების ოქმებს; აღრიცხავს და ინახავს პროექტის დოკუმენტაციას; აწარმოებს პროექტის აღჭურვილობის აღრიცხვის დოკუმენტაციას.

ტექნიკური დახმარებისთვის **(ტექნიკური კომპონენტიდან)**			

ადგილობრივი			
საჯარო საინფორმაციო კამპანიის სპეციალისტი	500	4	ადგენს ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა მინამატას კონვენციის“ და ვერცხლისწყლის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად პროექტის მონაწილეთა და წინასწარ დადგენილ სამიზნე ჯგუფებს შორის; მონაწილეობს საინფორმაციო კამპანიით გათვალისწინებული ღონისძიებების მოწყობაში და მეთვალყურეობს ამ ღონისძიებების შესასრულებლად დაქირავებულ ქვე-კონტრაქტორებს; უზრუნველყოფს საინფორმაციო კამპანიის ხარისხის კონტროლს.
ადგილობრივი ექსპერტები, რომლებიც იმუშავებენ მონაცემთა შეგროვებაზე და ანალიზზე	500	31	სწრაფი შეფასების საფუძველზე განსაზღვრავენ ძირითად სამიზნე სფეროებსა (უბნებს) და მონაცემთა მოპოვების წყაროებს: 1. მყარ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურები; 2. ცემენტის წარმოება; 3. წიაღისეულის მოპოვება და სხვა მეტალურგიული საქმიანობა; 4. ვერცხლისწყლის მოპოვება; 5. ოქროსა და ვერცხლის მცირემასშტაბიანი მოპოვება; 6. ქლორ-ტუტოვანი წარმოება; 7. დღის განათების ნათურები, მანომეტრები და თერმომეტრები; 8. ვერცხლისწყლის შემცველი ნაწარმის დამზადება; 9. ნარჩენების (მათ შორის, სამედიცინო ნარჩენები) განადგურება. შეარჩევენ ვერცხლისწყლის თითოეული გამოვლენილი წყაროდან მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის მეთოდოლოგიას; მოიპოვებენ და შეისწავლიან მონაცემებს; შეისწავლიან წყაროების სწრაფი შეფასების ანგარიშს და მიღებული მონაცემების მიხედვით დაამტკიცებენ (ან განავრცობენ) წყაროთა ჩამონათვალს.
ადგილობრივი იურისტ-კონსულტანტი	500	20	დაწვრილებით შეისწავლის საკანონმდებლო ბაზას და გამოავლენს ვერცხლისწყლის მართვის სფეროში არსებულ ნაკლოვანებებს; შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს არსებულ კანონებში ცვლილებებისა და შესწორებების შესატანად; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, „მინამატას კონვენციის“ კოორდინატორსა და სხვა შესაბამის სამთავრობო უწყებებთან ერთად იმუშავებს რეკომენდაციებზე საკანონმდებლო ბაზის დასახვეწად.
ადგილობრივი ექსპერტები, რომლებიც განსაზღვრავენ შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროებებს კონვენციის აღსრულემის მიზნით	500	31	შეისწავლიან საკანონმდებლო ბაზის შეფასებისა და ვერცხლისწყლის წყაროების აღწერის ანგარიშებს; შეისწავლიან პროექტის მოსალოდნელი შედეგების გავლენას პროექტის კონკრეტულ მონაწილეებსა და ფართო საზოგადოებაზე; განსაზღვრავენ შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროებებს კონვენციის აღსრულების მიზნით..
საერთაშორისო ექსპერტები (ტექნიკური			

კომპონენტიდან)			

საერთაშორისო ტექნიკური ექსპერტი	3,250	6	ტექნიკურ რეკომენდაციებს გაუწევს „მინამატას კონვენციაზე“ მომუშავე ადგილობრივ ჯგუფს თითოეულ შესაბამის სფეროში MEA-ს ახალი ინსტრუმენტების, ვერცხლისწყლის წყაროების, მონაცემთა ორგანიზების, მოპოვებისა და დამტკიცების მეთოდების შესახებ; ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთათვის მონაცემთა ანალიზშიკონსულტაციების მხარდაჭერა და ვერცხლისწყლის შესახებ ეროვნული ანგარიშის ფორმულირებისას პრიორიტეტების განსაზღვრება; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციებს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით; შესაბამის ერთეულებს დაეხმარება კონვეცნციის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და დაფინანსების შესაძლო წყაროების (მათ შორის, არსებული ორმხრივი წყაროების) დადგენა-შესწავლაში.

IV. პროექტის მართვა

4.1 ზოგადი ვალდებულებანი

პროექტი განხორციელდება სახელმწიფო მართვის წესით, ხოლო მისი განმახორციელებელი და ადგილობრივი პარტნიორი იქნება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. პროექტის განხორციელებაზე ძირითადი პასუხისმგებელი ერთეული იქნება სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური. შეიქმნება პროექტის მართვის ერთეული პროექტის ხელმძღვანელისა და თანაშემწის შემადგენლობით, რომელიც წარმართავს პროექტის ყოველდღიურ საქმიანობას. პროექტის ხელმძღვანელი მეთვალყურეობას გაუწევს და წარმართავს პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს და შეადგენს პროექტის მიმდინარეობის ამსახველ ანგარიშებს.

პროექტის აღმასრულებელი საბჭო წარმართავს პროექტის საქმიანობას და იქნება გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ორგანო. ის უზრუნველყოფს პროექტის სათანადოდ წარმართვას და სასურველი შედეგების მიღწევადობას. საბჭო იღებს პროექტის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებსაც, თუ მას მიმართავს პროექტის ხელმძღვანელი ან თუ პროექტი დასაშვებზე მეტად გასცდება შეთანხმებულ ჩარჩოს. უფრო კონკრეტულად, საბჭო ადგენს ვადებს და ფინანსური რესურსების ხარჯვის დასაშვებ ნორმებს პროექტის ყოველი ეტაპისთვის. პროექტის წლიური შემოწმებით, რომელიც გათვალისწინებულია დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმებით, საბჭო სწავლობს და ასწორებს წლიურ სამუშაო გეგმებს და აფასებს მიღწეულ შედეგებს. წლიური სამუშაო გეგმა და შესწორებული ბიუჯეტი იგზავნება სტამბოლში, გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონულ ცენტრში, სადაც მას, თავის მხრივ, ამოწმებს რეგიონული ტექნიკური მრჩეველი (ქიმიკოსი). საბჭო ასევე სწავლობს და ამტკიცებს პროექტის კვარტალურ გეგმებს და გასცემს შეთანხმებული კვარტალური გეგმებიდან ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადახვევის შესახებ ნებართვას. საბჭო ამტკიცებს პროექტის თითოეული ეტაპის დასრულებას და ახლის დასაწყისს. ის უზრუნველყოფს გამოყოფილი რესურსების მიზნობრივად გამოყენებას, ასრულებს პროექტის შიგნით არსებული ნებისმიერი კონფლიქტის მომრიგებლის ფუნქციას და აგვარებს პროექტსა და გარე სუბიექტებს შორის არსებულ ნებისმიერ პრობლემას. საბჭო იკრიბება კვარტალურად (საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირადაც). ამ შეხვედრების წინ პროექტის ხელმძღვანელი საბჭოს წევრებს გადასცემს ანგარიშს პროექტის განვლილი ეტაპის შესახებ და მომდევნო ეტაპის გეგმას. საბჭო სწავლობს ამ დოკუმენტაციას და ამტკიცებს ახალ გეგმებსა და ბიუჯეტს.

საბჭო შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: აღმასრულებელი, მთავარი მოსარგებლე და მთავარი მიმწოდებელი. აღმასრულებელი ძირითადად არის პასუხისმგებელი პროექტის შესრულებაზე, რომელსაც ეხმარებიან მთავარი მოსარგებლე და მთავარი მიმწოდებელი.

აღმასრულებლმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტი მისი მიმდინარეობის განმავლობაში იყოს შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული. მან ასევე უნდა უზრუნველყოს ხარჯების ეფექტიანობა და მოსარგებლისა და მიმწოდებლის მოთხოვნების დაბალანსება. ამ პროექტის მიზნებისთვის საბჭოს აღმასრულებლის ფუნქცია ეკისრება პროექტის ადგილობრივ დირექტორს- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

მთავარი მოსარგებლე/ მიმღები პასუხისმგებელია ზუსტად განსაზღვროს მათი მოთხოვნები, ვინც უშუალოდ ისარგებლებს აღნიშნული პროექტის შედეგებით, ამასთანავე მოსარგებლეების საჭიროებები და მათი მეთვალყურეობა და მოსარგებლე / და პროექტის პერსონალის ურთიერთადაკავშირება . მთავარი მოსარგებლის ფუნქციებში ასევე შედის მოსარგებლეთა რესურსების მიზნობრივად გამოყენება და

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

პროექტის შედეგებისა და შეთანხმებული მოთხოვნების შესაბამისობის გაკონტროლება. საბჭოში მთავარი მოსარგებლის როლი აკისრია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებთან ერთად.

მთავარი მიმწოდებელი იცავს მათ ინტერესებს, ვინც ფინანსური თუ შრომითი რესურსებით ეხმარება პროექტს. ის პასუხისმგებელია მიმწოდებლებისმიერ მიღწეული შედეგების ხარისხზე. მას უფლება აქვს განკარგოს ან მოიპოვოს საჭირო რესურსები. საბჭოში მთავარი როლი ეკისრება გაეროს განვითარების პროგრამის ადგილობრივი წარმომადგენლის ასისტენტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის უფროსთან ერთად და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებსაც, ასევე პროექტის სხვა ძირითად თანადამფინანსებლებსა და დონორებს/დონორ პროგრამებს (როგორიცაა, მაგ., ევროკავშირის ტვინინგის პროგრამა და სხვა).

პროექტის მიმდინარეობის ხარისხის კონტროლი პროექტის მართვის სტრუქტურის ერთ-ერთი საკვანძო ფუნქციაა. ეს არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამეთვალყურეო ერთეული, რომელიც განსაზღვრავს პროექტის შედეგების ხარისხს, უზრუნველყოფს „პირადი ინტერესებით“ მოქმედების თავიდან აცილებას და შედეგების ხარისხის შემოწმებას. ეს ფუნქცია ეკისრებათ გაეროს განვითარების პროგრამის სტამბოლის რეგიონული ცენტრის ტექნიკურ მრჩეველს ქიმიური ნივთიერებების საკითხებში, გაეროს განვითარების პროგრამის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მიმართულების ხელმძღვანელსა და პროგრამის პარტნიორს.

<u>კომუნიკაციები</u>

პროექტის ეროვნული დირექტორსა (NPD) და პროექტის მმართველ ერთეულს ურთიერთობა ექნებათ სხვადასხვა აუდიტორიასთან და დაეკისრებათ პროექტის მონაწილეთა ინფორმირება პროექტის მიმდინარეობისა და უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, ისინი განამტკიცებენ სამინისტროს პასუხისმგებლობას პროექტისადმი და ხელს შეუწყობენ პროექტის მონაწილეთა ჩართულობას. ამისთვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და პროექტის მმართველი ერთეული შეიმუშავებენ ინფორმაციის გაცვლის სტრატეგიას, უზრუნველყოფენ პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების გამჭვირვალობას პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში და მოამზადებენ სარეკლამო მასალებს, სადაც პროექტის ყველა პარტნიორის ლოგოები იქნება გამოსახული. იგივე სტანდარტი გავრცელდება ყოველგვარი საზოგადოებრივი ღონისძიებისთვის განკუთვნილ ნებისმიერ წერლილობით და ბეჭდურ მასალასა თუ პუბლიკაციაზე.

<u>ფინანსური და სხვა პროცედურები</u>

ანაზღაურება მოხდება პირდაპირი ანგარიშსწორების გზით. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი ხელს მოაწერენ შეთანხმებას, სადაც აღწერილი იქნება მომსახურება, რომელსაც გაეროს განვითარების პროგრამა აღმასრულებელ უწყებას პროექტის მიმდინარეობის მანძილზე გაუწევს. პროექტის ეროვნული დირექტორი (NPD) გადასახდელ თანხას დაამტკიცებს პროექტის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული ბიუჯეტის საფუძველზე. მისი არყოფნისას ამგვარ ოპერაციებს განახორციელებს პროექტის ხელმძღვანელი. გაეროს განვითარების პროგრამა იმოქმედებს მხარეთა შეთანხმებისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის დადებული მომსახურების შესახებ

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტის თანამშრომელთა ATLAS-ის სისტემაში დაშვება ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა იქნება.

გაეროს განვითარების პროგრამის სტანდატული პროცედურების თანახმად, პროექტის მიმდინარეობისას მიღებული რესურსები და აღჭურვილობა პროექტის დასრულებამდე გაეროს განვითარების პროგრამის საკუთრებად ითვლება. პროექტის დასრულების შემდეგ გადაწყდება ამ რესურსების განკარგვის საკითხი. ჩვეულებრივ, ადგილობრივ შესაძლებლობათა განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით, პროექტის დასრულების შემდეგ ისინი განმახორციელებელ პარტნიორს გადაეცემა.

გარემოს დაცვის გლობალური ფონდის, როგორც დამფინანსებლის, პატივისცემის ნიშნად მისი ლოგო უნდა გამოისახოს ყველა პუბლიკაციაზე, ტექნიკურ აღჭურვილობასა თუ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც გამოცემული თუ შეძენილი იქნება ფონდის სახსრებით. სათანადო მინიშნება უნდა გაკეთდეს ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების პუბლიკაციებიდან ციტატების გამოყენების შემთხვევაშიც.

პროექტის სტრუქტურული სქემა:



* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

V. მონიტორინგი და შეფასება

5.1 მონიტორინგის სისტემა და -შეფასება

პროექტის მონიტორინგი განხორციელდება ქვემოთ მოცემული მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებების გზით. მონიტორინგისა და შეფასების ბიუჯეტი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პროექტის დაწყება:

პროექტის დაწყებიდან პირველი 3 (სამი) თვის განმავლობაში ჩატარდება პროექტის საწყისი სამუშაო შეხვედრა (ვორქშოპი). რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ის პირები, რომელთაც აკისრიათ გარკვეული როლი პროექტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის წარმომადგენლები, საჭიროების ან შესაძლებლობის შემთხვევაში პროგრამის და რეგიონული ტექნიკური მრჩევლები და ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები. აღნიშნული შეხვედრა მნიშვნელოვანია პროექტის შედეგების გააზრებისა და პირველი წლის სამუშაო გეგმის სწორი დაგეგმარებისთვის.

პროექტის საწყისი სამუშაო შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდება სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის:

1. ყველა პარტნიორის დახმარება, პროექტის მნიშვნელობის სრულყოფილად გააზრებაში , გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის და რეგიონული საკოორდინაციო ერთეულის და პროექტის პერსონალის ურთიერთობების და ფუნქციების, დამხმარე მომსახურების და დამატებითი პასუხისმგებლობების დეტალურად განხილვა, პროექტში გადაწყვეტილებების მიმღები ერთეულების ფარგლებში არსებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, მათ შორის, ანგარიშგებისა და საკომუნიკაციო საკითხები და კონფლიქტების მოგვარების მექანიზმები; საჭიროების შემთხვევაში პროექტის პერსონალის მიერ შესასრულებელი სამუშაოები ხელახლა იქნება განხილული.
2. პროექტის შედეგებზე და საჭიროების შემთხვევაში გარემოს დაცვის გლობალური ფონდის მონიტორინგის მექანიზმზე დაყრდნობით პირველ წლიური სამუშაო გეგმისთვის საბოლოო სახის

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

მიცემა. ინდიკატორების, პროექტის ამოცანების და მათი შემოწმების გზების განხილვა და შეთანხმება, რისკებისა და ვარაუდების კიდევ ერთხელ განხილვა.

3. ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების მოთხოვნების კიდევ ერთხელ განხილვა, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო გეგმის და ბიუჯეტის დაგეგმვა და შეთანხმება.
4. ფინანსური ანგარიშგების პროცედურების განხილვა და ვალდებულებების და ყოველწლიური აუდიტის ღონისძიებები.
5. პროექტის საბჭოს სხდომების დაგეგმვა. განიხილება და დადგინდება პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. პროექტის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართება პროექტის საწყისი სამუშაო შეხვედრის ჩატარებიდან პირველი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.

მომზადდება პროექტის საწყისი სამუშაო შეხვედრის შესახებანგარიში, რომელიცგახდება მთავარი სახელმძღვანელო დოკუმენტი და გადაეგზავნება შეხვედრის ყველა მონაწილეს შეხვედრის მიმდინარეობისას მიღწეული სხვადასხვა შეთანხმებების და გეგმების ოფიციალურად გაფორმებისთვის.

კვარტალურად:

- განხორციელდება მიღწეული პროგრესის მონიტორინგი გაეროს განვითარების პროგრამის გაძლიერებული შედეგების მართვის პლატფორმის შესაბამისად;
- რისკის წინასწარი შეფასების ანგარიშის საფუძველზე რეგულარულად განახლდება რისკების რეესტრი ATLAS-ის მიხედვით. რისკები კრიტიკული ხდება, როდესაც ზემოქმედება და ალბათობა მაღალია. მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამის გარემოს დაცვის გლობალური ფონდის პროექტებისთვის ყველა ფინანსური რისკი დაკავშირებულია ფინანსურ მექანიზმებთან. ისეთი რისკები, როგორიცაა განახლებადი ფონდები, მიკროდაფინანსების სქემები ან ESCO-ს კაპიტალიზაცია ავტომატურად კლასიფიცირდება, როგორც „კრიტიკული“ მათი ინოვაციური ხასიათის გამო (ზემოქმედების მაღალი დონე, გაურკვევლობა გამოცდილების არარსებობა ამართლებს მათ კლასიფიკაციას, როგორც „კრიტიკული“);
- ATLAS-ში დაცული ინფორმაციის საფუძველზე, პროექტის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები მომზადდება პროექტის განხორციელების პროცესში;
- ATLAS-ში დაცული სხვა ცხრილები შესაძლოა გამოყენებული იქნეს სხვადასხვა საკითხების, მიღებული გამოცდილების და ა.შ. მონიტორინგისთვის, ამ ფუნქციების გამოყენება არის მთავარი ინდიკატორი გაეროს განვითარების პროგრამის აღმასრულებელი ბალანსირებული შემოწმების ცხრილებისთვის.

ყოველწლიურად:

პროექტის ყოველწლიური განხილვა/პროექტის განხორციელების ანგარიშები: რომლებიც მომზადდება პროექტის დაწყების შემდგომ მიღწეული წარმატების მონიტორინგისთვის და კერძოდ წინა საანგარიშო პერიოდისთვის (30 ივნისიდან 1 ივლისამდე). პროექტის ყოველწლიური განხილვა/პროექტის განხორციელების ანგარიში აერთიანებს გაეროს განვითარების პროგრამის და გარემოს დაცვის გლობალური ფონდის მოთხოვნებს.

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

პროექტის ყოველწლიური განხილვა/პროექტის განხორციელების ანგარიში მოიცავს (მაგრამ არ შემოფარგლება) შემდეგ საკითხებს:

- პროექტის მიზანთან და პროექტის შედეგებთან დაკავშირებით მიღწეულ პროგრესს (თითოეული შედეგის ინდიკატორების, არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებული მონაცემების და საბოლოო შედეგების მითითებით);
- პროექტის შუალედური შედეგები თითოეული საბოლოო შედეგის მიხედვით (ყოველწლიური);
- მიღებული გამოცდილება/საუკეთესო პრაქტიკა;
- AWP და ხარჯების შესახებ ანგარიშები;
- რისკები და ადაპტირებული მართვა;
- ATLAS QPR;
- გარემოს დაცვის გლობალური ფონდის კონტროლის მექანიზმები გამოიყენება ყოველწლიურად.

პერიოდული მონიტორინგი საველე ვიზიტების მეშვეობით

გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი და რეგიონული საკოორდინაციო ერთეული განახორციელებენ ვიზიტებს პროექტის განხორციელების ადგილებზე პროექტის საწყისი სამუშაო შეხვედრის ანგარიშის/წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად პროექტის ადგილებზე მიღწეული პროგრესის შესაფასებლად. პროექტის საბჭოს სხვა წევრებმა ასევე შესაძლოა მონაწილეობა მიიღონ ამ ვიზიტებში. გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი და რეგიონული საკოორდინაციო ერთეული მოამზადებენ ანგარიშებს საველე ვიზიტების შესახებ და ვიზიტიდან ერთი თვის განმავლობაში გაუგზავნიან პროექტის პერსონალს და პროექტის საბჭოს წევრებს.

პროექტის დასრულება:

პროექტის საბჭოს საბოლოო შეხვედრიდან 3 (სამი) თვით ადრე ჩატარდება საბოლოო დამოუკიდებელი შეფასება, რაც განხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა და გარემოს დაცვის გლობალური ფონდის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. საბოლოო შეფასების დროს ყურადღება გამახვილდება პროექტის თავდაპირველად დაგეგმილი შედეგების მიღწევაზე (ან შუალდური შეფასებისას კორექტირებული შედეგების მიღწევაზე, თუ ასეთი შესწორება მოხდა). საბოლოო შეფასებისას გათვალისწინებული იქნება შედეგების გავლენა და მდგრადობა, მათ შორის, შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით და გლობალური გარემოსდაცვითი სარგებელის/მიზნების მიღწევა. საბოლოო შეფასებისთვის სამუშაოების აღწერილობა მომზადდება გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის მიერ რეგიონული საკოორდინაციო ერთეულის და გარემოს დაცვის გლობალური ფონდის ინსტრუქციებზე დაყრდნობით.

ფინალური შეფასების დოკუმენტი იძლევა მომდევნო აქტივობების და მართვის მოთხოვნების შესახებ რეკომენდაციებს, რომლებიც უნდა აიტვირთოს PIMS-ის და გაეროს განვითარების პროგრამის შეფასების ოფისის რესურს-ცენტრში (**UNDP Evaluation Office Evaluation Resource Center (ERC))**.

საბოლოო შეფასებისას შევსებული უნდა იქნეს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის ძირითადი სექტორების საკონტროლო მექანიზმი.

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

ბოლო 3 (სამი) თვის განმავლობაში პროექტის პერსონალი მოამზადებს პროექტის შემაჯამებელ ანგარიშს. ამ ანგარიშში შეჯამდება მიღწეული შედეგები (მიზნები, შუალედური და საბოლოო შედეგები), მიღებული გამოცდილება, არსებული პრობლემები და ის სფეროები, სადაც შესაძლოა შედეგები ვერ იქნა მიღწეული. ანგარიშში ასევე მოცემული უნდა იქნეს რეკომენდაციები შემდგომი მოქმედებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა საჭირო იყოს პროექტის შედეგების მდგრადობის და განვრცობის უზრუნველსაყოფად.

I ცხრილი: პროექტის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა

მონიტორინგისა და შეფასების გეგმით გათვალისწინებული სამუშაო	პასუხისმგებელი მხარეები	ვადა
პროექტის საწყისი სამუშაო შეხვედრა (ვორქშოპი)	პროექტის აღმასრულებელი, პროექტის მმართველი ერთეული	პროექტის დაწყებიდან სამი თვის განმავლობაში
საწყისი ანგარიში	პროექტის მმართველი ერთეული, პროექტის აღმასრულებელი, გაეროს განვითარების პროგრამის ოფისი საქართველოში	საინსპექციო სემინარის ჩატარებისთანავე
წლიური ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ(APR) და პროექტის განხორციელების მიმოხილვა (PIR)	პროექტის მმართველი ერთეულიი, პროექტის აღმასრულებელი, გაეროს განვითარების პროგრამის ოფისი საქართველოში, რეგიონული საკოორდინაციო ერთეული	ყოველწლიურად (აგვისტო-სექტემბერში)
კვარტალური ანგარიშები პროექტის მიმდინარეობის შესახებ	პროექტის მმართველი ერთეული, პროექტის აღმასრულებელი, გაეროს განვითარების პროგრამის ოფისი საქართველოში	კვარტალურად
პროექტის წლიური ანგარიშები	პროექტის მმართველი ერთეული, პროექტის აღმასრულებელი, , პროექტის აღმასრულებელი საბჭო	კალენდარული წლის ბოლოს
პროექტის აღმასრულებელი საბჭოს კრებები	პროექტის აღმასრულებელი,,პროექტის მართვის ერთეული	საინსპექციო სემინარის ჩატარების შემდეგ და შემდგომში კვარტალურად
პროექტის წლიური განხილვა	პროექტის მმართველი ერთეული, პროექტის აღმასრულებელი, პროექტის აღმასრულებელი საბჭო	ყოველწლიურად
ტექნიკური ანგარიშები	პროექტის მმართველი ერთეული, მრჩევლები	განსაზღვრავს პროექტის ჯგუფი
დასკვნითი შეფასება	გაეროს განვითარების პროგრამის ოფისი საქართველოში, UNDP/GEF-ის რეგიონული საკოორდინაციო ერთეული, მოწვეული კონსულტანტები	პროექტის დახურვამდე, სულ მცირე, 3 თვით ადრე

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

5.2 სწავლება და ცოდნის გაზიარება

პროექტის შედეგების შესახებ ინფორმაცია გავრცელდება საინფორმაციო ქსელებისა და ფორუმების მეშვეობით.

საჭიროებისამებრ, პროექტი ასევე ჩაერთვება სამეცნიერო, თუ სხვა ნებისმიერ ქსელში, რომელთაგან მიღებული გამოცდილება ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას. პროექტის მესვეურები გააანალიზებენ და გაავრცელებენ მიღებულ გამოცდილებას, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს მსგავსი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. .

ინფორმაციის გაცვლა განხორციელდება ორმხრივად პროექტსა და სხვა მსგავს პროექტებს შორის.

5.3 კომუნიკაცია და ვიზუალურ მასალებთან დაკავშირებული მოთხოვნები

გაეროს განვითარების პროგრამის ბრენდინგის სახელმძღვანელო ინსტრუქციები სრულად უნდა იქნეს დაცული.

ეს მოთხოვნები ხელმისაწვდომია შემდეგ მისმართზე: http://intra.undp.org/coa/branding.shtml,, გაეროს განვითარების პროგრამის ლოგოს გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები ხელმისაწვდომია: http://intra.undp.org/branding/useOfLogo.html. სხვა საკითხებთან ერთად ინსტრუქციები აღწერს სად და როგორ უნდა იქნეს გამოყენებული გაეროს განვითარების პროგრამის ლოგო, ასევე - გაეროს განვითარების პროგრამის პროექტების დონორების ლოგოების გამოყენების წესებს. ნებისმიერი გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში გაეროს განვითარების პროგრამის ლოგო გამოყენებული უნდა იქნეს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის ლოგოსთან ერთად. გარემოს დაცვის გლობალური ფონდის ლოგო ხელმისაწვდომია: http://intra.undp.org/coa/branding.shtml.

საჭიროა ასევე გარემოს დაცვის გლობალური ფონდის საკომუნიკაციო და ვიზუალური მასალის გამოყენების მოთხოვნების შესრულება (გარემოს დაცვის გლობალური ფონდის სახელმძღვანელო ინსტრუქციები), რომლებიც ხელმისაწვდომია: http://www.thegef.org/gef/sites/thegef.org/files/documents/C.40.08_Branding_the_GEF%20final_0.pdf. სხვა საკითხებთან ერთად გარემოს დაცვის გლობალური ფონდის ინსტრუქციები აღწერს როდის და როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ფონდის ლოგო, მათ შორის, პროექტის პუბლიკაციებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, პროექტის მასალებზე და ტექნიკურ აღჭურვილობაზე. ფონდის ინსტრუქციები ასევე აღწერს ფონდის სხვა მოთხოვნებს სარეკლამო კამპანიასთან დაკავშირებით, მათ შორის, პრეს-რელიზებთან, პრეს-კონფერენციებთან, პრესის ვიზიტებთან, მთავრობის წარმომადგენლების ვიზიტებთან, პუბლიკაციებთან და სხვა სარეკლამო მასალებთნ დაკავშირებით.

სხვა სააგენტოების და პროექტის პარტნიორების მიერ თანადაფინანსების გზით მხარდაჭერის შემთხვევაში ასევე გამოყენებული უნდა იქნეს მათი ბრენდინგის პოლიტიკა და მოთხოვნები.

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

VI. სამართლებრივი მხარე

პროექტის დოკუმენტზე (როგორც აღნიშნულია ხელშეკრულებაში „საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობის შესახებ“) ვრცელდება საქართველოს მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ხელმოწერილი საპროგრამო დოკუმენტის სამოქმედო გეგმის პირობები.

„საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობის შესახებ“ ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, განმახორციელებელი პარტნიორი პასუხს აგებს თავისი პერსონალისა და საკუთრების, ასევე გაეროს განვითარების პროგრამის იმ საკუთრების უსაფრთხოებაზე, რომელიც დროებით მის მფლობელობაშია.

განმახორციელებელი პარტნიორი:

- შეიმუშავებს და დაიცავს უსაფრთხოების გეგმას იმ ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით, სადაც პროექტი ხორციელდება;
- საკუთარ თავზე აიღებს თავის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებსა და ვალდებულებებს და ზუსტად დაიცავს უსაფრთხოების გეგმას.

გაეროს განვითარების პროგრამა უფლებამოსილია, შეამოწმოს ასეთი გეგმის არსებობა და, საჭიროებისამებრ, გასწიოს რეკომენდაცია მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე. უსაფრთხოების გეგმის არქონა ან მისი შეუსრულებლობა ამ ხელშეკრულების დარღვევად მიიჩნევა.

განმახორციელებელი პარტნიორი თანახმაა, რომ მიიღოს ყველა მიზანშეწონილი ზომას იმისათვის, რომ გაეროს განვითარების პროგრამის თანხები, რომლებიც პროექტის დოკუმენტის თანახმადაა მიღებული, არ მოხმარდეს ტერორიზმთან ასოცირებულ პირებსა თუ ორგანიზაციებს ან უშიშროების საბჭოს კომიტეტის სიაში შესულ ერთეულებს (რეზოლუცია #1267; 1999 წ.). სიის სანახავად ეწვიეთ http://www.un.org/Docs/sc/committees/1267/1267ListEng.htm). ეს პირობა უნდა შევიდეს პროექტის დოკუმენტის ფარგლებში დადებულ ყველა ხელშეკრულებაში და ქვეკონტრაქტში.

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

VII. დანართები

I დანართი: 1 გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიული გეგმა: ძირითადი თემატური სფეროები, საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, ერთიანი პირობითი შედეგები

ძირითადი თემატური სფერო	*საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები*	*ერთიანი პირობითი შედეგები*
სიღარიბის შემცირება და ათასწლეულის განვითარების მიზნები	1. საყოველთაო განვითარების, გენდერული თანასწორობისა და ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა	1. სახელმწიფო სტრატეგია განვითარების შესახებ ეფუძნება ათასწლეულის განვითარების მიზნებს და ხელს უწყობს განვითარებას, დასაქმებასა და ეკონომიკური, გენდერული და სოციალური უთანასწორობის შემცირებას.
		2. განვითარდა სახელმწიფო და ადგილობრივი უწყებების უნარი, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, დაგეგმონ, შეამოწმონ, ანგარიშები მოამზადონ და შეაფასონ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევისა და განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტების შესრულების პროცესი.
		3. დაიხვეწა და მუშაობს ქალებისა და გოგონების შესაძლებლობათა გაძლიერებაზე მიმართული პოლიტიკა, სამსახურები და მექანიზმები.
		4. მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ვალის დასაშვები დონის ჩარჩოები და სახელმწიფო დაფინანსების სტრატეგია ესადაგება ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის პროცესს და ხელს უწყობს საყოველთაო განვითარებას.
		5. განვითარდა ადგილობრივი მმართველობებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უნარი, ხელი შეუწყონ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის პროცესის საყოველთაოობას თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.
		6. შეიქმნა სტრატეგია და საპარტნიორო ჯგუფები, რომლებიც ხელს უწყობენ კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობას და კერძო სექტორისა და ბაზრის განვითარებას, რის შედეგედაც ხელმოკლე და დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებსა და მცირე საწარმოებს ხელი მიუწვდებათ მრავალგვარ ფინანსურ თუ სამართლებრივ მომსახურებაზე.
	2. გლობალიზაციის პროცესების ხელშეწყობა	1. განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობები იმდენად განმტკიცდა, რომ ისინი კონკურენტუნარიანები გახდნენ საერთაშორისო ასპარეზზე და დებენ, თავიანთ თავს უსადაგებენ და ასრულებენ ხელშეკრულებებს ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, ასევე გასცემენ ინვესტიციებს, რომლებიც მიმართულია სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირებასა და ადამიანის შესაძლებლობების განვითარებაზე.
		2. განმტკიცდა სახელმწიფოთა უნარი, ათასწლეულის განვითარებისა და საყოველთაოდ აღიარებული სხვა მიზნების მიღწევის პროცესის დაურღვევლად მოლაპარაკებები აწარმოონ და მართონ განვითარებზე მიმართული თანხები (მათ შორის დახმარება და სესხი).
	3. შიდსის გავლენის შემცირება ადამიანის შესაძლებლობებზე	1. შიდსთან ბრძოლის თემა გათვალისწინებულია სიღარიბის შემცირებაზე მიმართულ სტრატეგიაში, ათასწლეულის განვითარების მიზნებზე დაფუძნებულ განვითარების ეროვნულ გეგმებსა და მაკროეკონომიკულ პროცესებში.
		2.განმტკიცდა სახელმწიფოთა უნარი, ჰყავდეთ მრავალპარტიული მმართველობები, შეთანხმებულად ებრძოლონ შიდსს და აქტიურად ჩააბან სამოქალაქო საზოგადოება და შიდსით დაავადებულები შიდსის პროგრამების შექმნის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში.

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

		3. ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილებითდაისახა პოლიტიკური კურსი და ხორციელდება პროგრამები შიდსით დაავადებულთა უფლებების დასაცავად. შემცირდა გენდერის საფუძველზე შეურაცხყოფის ფაქტები და ძალისხმევაა მიმართული ქალებსა და გოგონებზე შიდსის გავლენის საკითხის გადასაწყვეტად.
		4. აქტიურად მუშაობს შიდსთან ბრძოლის ფონდები და პროგრამები, რომელთაც აფინანსებენ მრავალმხრივი ორგანიზაციები, როგორიცაა, მაგ., შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი.
დემოკრატული მმართველობა	1. საყოველთაო მონაწილეობის ხელშეწყობა	1. სამოქალაქო აქტივობა, გამოწვეული სამოქალაქო საზოგადოების, მოხალისეთა გაერთიანებების, პროფესიული კავშირების, პოლიტიკური პარტიებისა და კერძო სექტორის მონაწილეობით, ხალხს სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის საშუალებას აძლევს.
		2. საამომრჩევლო კანონები, პროცესები და ინსტიტუტები განამტკიცებს საყოველთაო მონაწილეობასა და არჩევნების პროფესიონალურად წარმართვას.
		3. საინფორმაციო არხების (ელექტრონული მმართველობა, დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა და ხელმისაწვდომი საინფორმაციო პოლიტიკა) მეშვეობით ხელისუფლება უფრო პასუხისმგებელი და გულახდილი ხდება.
	2. მოქნილი სახელისუფლებო სამსახურების ხელშეწყობა	1. მმართველობის ყველა დონეზე (სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი) გაიზარდაყველასთვის ხელმისაწვდომი მომსახურების მართვისა და კონფლიქტების შემცირების უნარი.
		2. გაიზარდა საკანონმდებლო ორგანოს, არჩეული რეგიონული ერთეულებისა და ადგილობრივი საკრებულოების უნარი, უკეთ წარმოადგინონ თავიანთი ამომრჩევლები.
		3. ქმედითი, მოქნილი და ხელმისაწვდომი სასამართლო სისტემა ხელს უწყობს კანონის უზენაესობას, მათ შორის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პროცესებს, და ჯერეოვნად ითვალისწინებს ხელმოკლეების, ქალებისა თუ სხვა დაუცველი ჯგუფების უფლებებსა და ინტერესებს.
	3. ნაციონალური პარტნიორების ხელშეწყობა ადამიანის უფლებების დაცვის, გენდერული თანასწორობისა და ანტიკორუფციულ პრინციპებზე დაფუძნებული დემოკრატიული მმართველობის პროცესების წარსამართად	1. მმართველობის ყველა დონეზე (სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი) გაიზარდა ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების დანერგვის უნარი მმართველობის მეთოდებსა და ორგანოებში.
		2. მმართველობის ყველა დონეზე (სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი) გაიზარდა გენდერული თანასწორობისა და ქალთა შესაძლებლობების გაძლიერების პრინციპების დანერგვის უნარი მმართველობის მეთოდებსა და ორგანოებში.
		3. მმართველობის ყველა დონეზე (სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი) გაიზარდა ანტიკორუფციული ინიციატივების დანერგვის უნარი მმართველობის მეთოდებსა და ორგანოებში.
კრიზისების თავიდან აცილება	1. კონფლიქტებისა და კატასტროფების მართვის უნარის განვითარება	1. მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა პარტნიორებს (მაგ., გაერო, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და ორმხრივი პარტნიორები) შორის გამართული მსჯელობისა და ერთობლივად ჩატარებული კვლევების მეშვეობით მიღებულია გადაწყვეტილებები ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვისა და კონფლიქტების თავიდან აცილების შესახებ.
		2. კატასტროფები - განმტკიცდა (ქალების ძალისხმევითაც) ქვეყანაში არსებული სამსახურების უნარი, თავიდან აიცილონ, შეამცირონ და გაუმკლავდნენ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მიღებულ სისტემურ შოკს.
		3. კონფლიქტები - განმტკიცდა (ქალების ძალისხმევითაც) ქვეყანაში არსებული სამსახურების უნარი, თავიდან აიცილონ, შეამცირონ და გაუმკლავდნენ ძალისმიერი კონფლიქტის შედეგებს.
		4. სხვა
	2. კრიზისისშემდგომი მმართველობის გაძლიერება	1. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ადრეულ კრიზისისშემდგომ ეტაპზე განაახლებენ მუშაობას აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

		2. კატასტროფები - გაძლიერდა მმართველობის ორგანოების შესაძლებლობები, მართონ კატასტროფისშემდგომი ვითარება და შეამცირონ მოსალოდნელი ჩავარდნები.
		3. კონფლიქტები - გაძლიერდა მმართველობის ორგანოების შესაძლებლობები, მართონ კონფლიქტისშემდგომი ვითარება, მათ შორის თავიდან აიცილონ კონფლიქტის განახლების საფრთხე.
		4. სხვა

	3. საფუძვლის აღდგენა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განვითარებისთვის	1. კატასტროფის- და კონფლიქტისშემდგომ გარემოში აღდგა გენდერული თანასწორობა და განმტკიცდა ქალთა შესაძლებლობები.
		2. კონფლიქტი - კრიზისისშემდგომ გარემოში აღდგა მოსახლეობის უსაფრთხოება და სოციალური ერთიანობა.
		3. კრიზისისშემდგომ გარემოში აღდგა სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, გამოცოცხლდა ეკონომიკა და გაჩნდა სამუშაო ადგილები; კრიზისის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა დაუბრუნდა თავის ადგილს და ჩაება ჩვეულ ცხოვრებაში.
		4. სხვა
გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება	1. გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის საკითხების წინ წამოწევა	1. განვითარდა სახელმწიფო სამსახურების შესაძლებლობები, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის საკითხები ჯეროვნად ასახონ განვითარების ეროვნულ გეგმებსა და მათი განხორციელების მეთოდებში.
		2. სხვა
	2. დაფინანსების ხელშეწყობა გარემოს დასაცავად	1. შემუშავდა და გამოიყენება გარემოს მართვის ხელშემწყობი მექანიზმები.
		2. სხვა
	3. კლიმატის ცვლილებასთან შეგუების ხელშეწყობა	1. განვითარდა სახელმწიფო სამსახურების შესაძლებლობები,კლიმატის ცვლილებასთან შეგუების საკითხები ჯეროვნად ასახონ განვითარების ეროვნულ გეგმებში.
		2. სხვა
	4. ეკოლოგიური და ენერგეტიკული სამსახურების ხელმისაწვდომობა ხელმოკლეთათვის	1. გაძლიერდა ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობები, რომ გონივრულად მართონ ეკოლოგიური გარემო და უფრო ხელმისაწვდომი გახადონ ეკოლოგიური და ენერგეტიკული სამსახურები, განსაკუთრებით ხელმოკლეთათვის.
		2. სხვა

დანართი II - პროექტის ძირითადი პერსონალის სამუშაოს აღწერილობა

პროექტის მენეჯერი

ფუნქციები/ძირითადი მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მენეჯერი, ენერგეტიკისა და გარემის დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელის პირდაპირი ზედამხედველობით, პასუხისმგებელია პროექტის ყოველდღიურ მართვაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. პროექტის მენეჯერი ძირითადად პასუხისმგებელია პროექტის დოკუმენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისად, დადგენილ დროში და განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში. პროექტის მენეჯერი ასევე გაუწევს ტექნიკურ დახმარებას პროექტის საქმიანობას და იქნება მთავარი პასუხისმგებებლი პირი გარემოსა და ბუნებრივი რესურების

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

დაცვის სამინისტროს მოთხოვნისას სამინისტროსთვის მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. უფრო კონკრეტულად, მისი ფუნქციებია:

ძირითადი ფუნქციები:

1.პროექტის ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფა და პროექტის პერსონალის ზედამხედველობა ხარსხის კონტროლზე ყურადღების გამახვილებით, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესების განმავლობაში:

- დაგეგმილი საქმიანობების დროული და ეფექტიანი მენეჯმენტის უზრუნველყოფა;
- პროგრამის შუალედური შედეგების მომზადების ზედამხედველობა და კოორდინირება;
- კონსულტაციების/სემინარების ორგანიზებაში დახმარება და მათი წარმატების უზრუნველყოფა;
- განხორციელებული საქმიანობის შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება;
- იმ ექსპერტების საქმიანობის მხარდაჭერა და კოორდინარება, რომლებსაც გაეწიათ კონსულტაციები;
- პროექტის აღმასრულებელი საბჭოს შეხვედრების მხარდაჭერა და მოდერატორის ფუნქციების შესრულება;
- ყველა მონაწილე მხარესთან, პროექტის აღმასრულებელ საბჭოსთან და სხვა პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთობა პროექტში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ (POPs/MP) ბრატისლავას რეგიონულ მხარდაჭერის ცენტრთან ურთიერთობა, რათა ხელი შეუწყოს რეგიონში ქიმიური ნარჩენებთან დაკავშირებულ სხვა პროექტებთან კავშირს, ინფორმაციის და მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასევე ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას და ODS-თან დაკავშირებულ საქმიანობას;
- პროექტის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა და საბოლოო სახის მიცემა, როგორიცაა გარემოს დაცვის გლობალური ფონდისა და მონრეალის ოქმისთვის ანგარიშების მომზადება;
- პროექტის საბჭოსთან თანამშრომლობა პროექტის ინტეგრირებულობის უზრუნველყოფის მიზნით;
- პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნის გაზიარება გაეროს განვითარების პროგრამის, ადგილობრივი კოლეგების და საზოგადოებისთვის.

2.გარდა ამისა, პროექტის მენეჯერის სპეციფიკური ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- სამუშაოს აღწერილობის, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის და/ან „ფასთა კვოტირების“ მომზადება;
- სამუშაოს აღწერილობის და პირობების მომზადება დასაქირავებელი კონსულტანტებისთვის;
- კერძო პირებთან/კომპანიებთან ქვეკონტრაქტების დადებასთან დაკავშირებული შესყიდვების პროცესების ხელმძღვანელობა და ამ შესყიდვების გაეროს განვითარების პროგრამის წესებისა და პროცედურების შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფა;
- ხარჯების კონტროლი და რესურსების ადეკვატური მენეჯმენტის სხვაგვარად უზრუნველყოფა;
- პროექტის პასუხისმგებელი მხარეების მხარდაჭერა;
- მონიტორინგისა და საკომუნიკაციო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების მონიტორინგი და ამ გეგმის საჭიროებისამებრ განახლება;
- თავდაპირველად იდენტიფიცირებული რისკების მართვა და მონიტორინგი, პროექტის საბჭოსთვის ახალი რისკების წარდგენა განსახილველად და საჭიროების შემთხვევაში შესაძლო ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, ამ რისკების სტატუსის განახლება პროექტის რისკების რეესტრის წარმოების გზით;

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

- სხვადასხვა საკითხების რეესტრის წარმოების გზით სხვადასხვა საკითხებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებულ ცვლილებებზე პასუხისმგებლობა;
- პროექტის საქმიანობის შესახებ მიმდინარე და ყოველწლიური ანგარიშების და საბოლოო ანგარიშის მომზადება (დაგეგმილ სქმიანობასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესი, რისკებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის განახლება, ხარჯები) და ანგარიშების პროექტის საბჭოსთვის და პროექტის აღმასრულებელი ერთეულისთვის წარდგენა;
- ანგარიშების საფუძველზე ყოველწლიური სამუშაო გეგმების და კვარატალური სამუშაო გეგმების მომზადება საჭიროების მიხედვით;
- შემდგომი მოქმედებების იდენტფიცირება და მათი პროექტის საბჭოსთვის განსახილველად წარდგენა;
- პროექტის დოკუმენტების, ფაილების, აღჭურვილობის და მასალების ადგილობრივი ბენეფიციარებისთვის გადაცემის პროცესის მართვა;
- სხვა მსგავსი პროექტის (პორტფოლიოს ფარგლებში)მართვის ფუნქციების განხორციელება მენეჯმენტის გადაწყვეტილების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში.

პროექტის ადმინისტრაციული ასისტენტი

პროექტის მენეჯერის ზედამხედველობით ადმინისტრაცული ასისტენტი განახორციელებს ფინანსურ მენეჯმენტს და ადმინისტრაციულ დახმარებას გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის, გაეროს განვითარების პროგრამის შესაბამისი წესებისა და პროცედურების მიხედვით.

ასისტენტი დაეხმარება პროექტის მენეჯერს პროექტის მართვასთან დაკავშირებული ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში და წარმოადგენს პროექტს მენეჯერის არყოფნისას.

ასისტენტის ძირითადი ფუნქციაა პროექტის მენეჯერის დახმარება სხვადასხვა ამოცანების შესრულებაში და საჭირო ღონისძიებების განხორციელება პროექტის საქმიანობის კოორდინაციისთვის, გაეროს განვითარების პროგრამის წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კერძოდ, ფინასური და ადმინისტრაციული ასისტენტი განახორციელებს შემდეგ საქმიანობას;

ძირითადი ფუნქციები:

- პროექტის მენეჯერის დახმარება პროექტის სამუშაო და ფინანსური გეგმების, ასევე მიმდინარე და ფინანსური ანგარიშების მომზადებაში;
- გაეროს განვითარების პროგრამის ადგილობრივ ოფისთან კოორდინაციით სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი მონაწილე მხარეების, პროექტის აღმასრულებელი საბჭოს და პროექტის სხვა პარტნიორების დახმარება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო კონსულტანტებისთვის დახმარება საჭირო ინფორმაციის/მონაცემების დროულად შეგროვებასა და მიღებაში;

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

- პროექტის მონაწილე მხარეებთან შეხვედრების ორგანიზების პროცესისში მონაწილეობა, მათ შორის, შეხვედრებისთვის ბიუჯეტებისა და სხვა მასალების მომზადება, შეხვედრის მონაწილეებისთვის ლოჯისტიკური დახმარების კოორდინირება, ოქმების მომზადება;
- ATLAS -ის (გარე მოდული და შიდა ქსელის რესურსები) გამოყენაბში დახმარება მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნით;
- პროექტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სრულად ფლობა და საჭირო ინფორმაციის/მონაცემების მიწოდების უნარი;
- ბიუჯეტის შესწორებების მომზადებაში მონაწილეობა ბიუჯეტში პროექტის მიმდინარე საჭიროებების ასახვისთვის.

ადმინისტრაციული ფუნქციები:

- პროექტის ფაილების ორგანიზება, კონტრაქტების რეგისტრაცია და კონტროლი და პროექტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვა და შენახვა (კონტრაქტები, ქვითრები, შესყიდული საქონლის/მასალების შესახებ საინვენტარიზაციო მასალები). აუდიტისთვის საჭირო ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- შესყიდვების გეგმის შემუშავება, შესყიდვების მიზნით ჩატარებულ ტენდერებში მონაწილეობა და საქონლისა და მომსახურების შესყიდვის კონტრაქტების მომზადება;
- პროექტის აქტივების კონტროლი, ოფისის ზედამხედველობა და ინვენტარიზაციის ცხრილის წარმოება;
- პროექტის სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის უზრუნველყოფა და აღრიცხვის ჟურნალის კონტროლი;
- ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში დახმარება პერსონალის დაქირავების პროცესში, კონტრაქტების დადება და გადასახდელი თანხების დროულად გადახდის უზრუნველყოფა (ხელფასები, სამივლინებო ხარჯები) კონტრაქტების შესაბამისად; პერსონალის შვებულებების აღრიცხვა და კონტროლი, კონტრაქტების დროულად განახლების უზრუნველყოფა, პერსონალის დაქირავების გაეროს განვითარების პროგრამის შესაბამისი პროცედურების დაცვით უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მისიებისთვის საჭირო ლოჯისტიკური ღონისძიებების განხორციელება;
- პირდაპირი გადახდების მოთხოვნების მომზადება და შესაბამისი თანმხლები დოკუმენტაციის უზრუნველყოფა.

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

ხელმოწერების გვერდი

ქვეყანა: საქართველო

პროექტის დასახელება: ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობა „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება მის აღსასრულებლად.

გაეროს 2011-2015 წწ. გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის (UNDAF), მე-4 საბოლოო შედეგი: მე-3 თემატური სფერო: კატასტროფების განმაპირობებელი ფაქტორები შემცირებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად მართვის შედეგად.

გაეროს განვითარების პროგრამის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმის საბოლოო შედეგი: ქვეყნებში განვითარებულია და გამოიყენება საბაზრო მექანიზმები გარემოს დაცვის მენეჯმენტის მხარდაჭერის მიზნით.

გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიული გეგმის მეორადი შედეგი: ადგილობრივი შესაძლებლობები გაძლიერებულია გარემოს დაცვასა და ენერგიასთან დაკავშირებული საკითხების ეროვნული განვითარების გეგმების და განხორციელების სისტემების ჩარჩოებში მოსაქცევად.

2011-2015 წწ. საპროგრამო დოკუმენტის შუალედური შედეგები: 3.2.1. საცდელ უბნებზე დაინერგა ქიმიურ ნივთიერებათა, ნიადაგის, წყლისა და ბიოლოგიური რესურსების მართვის გონივრული პრაქტიკა და მექანიზმები, რომლებიც განზოგადებულია ქვეყნის შიგნით და მოსაზღვრე ქვეყნებში გამოსაყენებლად. 3.2.2. განმტკიცებულია სისტემის, უწყებებისა და თანამშრომელთა შესაძლებლობები გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ვალდებულებებისა და კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების, ნიადაგის დეგრადაციისა და ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსასრულებლად.

აღმასრულებელი უწყება/განმახოციელებელი პარტნიორი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მოკლედ პროექტის შესახებ

პროექტის მიზანია „ვერცხლისწყლის პირველადი შეფასება, რაც საქართველოს მთავრობას შესაძლებლობას მისცემს, დაადგინოს სახელმწიფოს მოთხოვნები და საჭიროებანი „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციისთვის და ქვეყანაში შექმნას საფუძველი იმისა, რომ დაიწყოს მისი აღსრულებისათვის საჭირო სამუშაოები“.

პროექტის მიზნის მიღწევის ინდიკატორად ორი ძირითადი კომპონენტი გამოიყენება: 1. „მინამატას კონვენციის“ რატიფიცირებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესის სწორად წარმართვა - უზრუნველყოს ისეთ წინაპირობები, როგორიცაა გადაწყვეტილების მიმღები ქმედითი სახელმწიფო სტრუქტურა, პოლიტიკისა და სამართლებრივი ნორმების შეფასება, უწყებრივი და კომპეტენციის საჭიროებათა დადგენა კონვენციის აღსასრულებლად და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გარემოსა და ჯანმრთელობაზე ვერცხლისწყლის ზემოქმედების შესახებ; 2. ვერცხლისწყლის მარაგების შესახებ ეროვნული ანგარიშისა და შეფასების პირველადი ანგარიშის შექმნა - განამტკიცებს სახელმწიფოს უნარს ვერცხლისწყლის ინვენტარიზაციისთვის და ქვეყანაში არსებული ვერცხლისწყლის შესახებ ანგარიშის შესაქმნელად კონვენციის რატიფიკაციისა და აღსრულების მიზნით.

პროექტს განახორციელებს სახელმწიფო, კერძოდ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (პროექტის განმახორციელებელი უწყება და ადგილობრივი პარტნიორი). პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეული იქნება სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური. პროექტის ხანგრძლივობაა 18 თვე (2015-2017); გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF)პროექტს 200 000 აშშ დოლარით დააფინანსებს.

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

პროგრამის ვადა:	2015-2017წწ.
პროგრამის კომპონენტი:	ენერგეტიკა და გარემო მდგრადი განვითარებისთვის; კატასტროფების რისკის შემცირება
Atlas-ის გრანტის ნომერი:	00082890
პროექტის ნომერი:	00091591
PIMS #	5405
პროექტის დაწყების თარიღი:	2015 წ.
პროექტის დასრულების თარიღი	2017 წ.
პროექტის მართვის წესი	სახელმწიფო (NIM)
PAC კრებისთარიღი	დასადგენია

მთლიანი ბიუჯეტი:	200 000 აშშ დოლარი
გამოყოფილი თანხა:	
• GEF	200 000 აშშ დოლარი

ეთანხმება (მთავრობა): *საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო*

მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი

სახელი, გვარი ხელმოწერა თარიღი

ეთანხმება (გაეროს განვითარების პროგრამა):

მუდმივი წარმომადგენელი ნილს სკოტი

სახელი, გვარი ხელმოწერა თარიღი

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს

* ევროკავშირის საპარტნიორო პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს 22.0.10-ის აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 0,735 ევროს